# დროება

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

№ 287 ხუთშაბათი, 24 დეკემბერი 1909 წ.



განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ.; უკანასკნელზე—10 კაპ., სხვა ადგილებიდან (კავკასიის გარეშე) მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითოჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ, ოთხი საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ.—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა, და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 14, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „დროების" რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან [illegible] თი 5 დან 7 მდე.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს [illegible] ჩუნა არ ხენა ერთის თვით [illegible] მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ДРОЭБА".

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.



მიიღება ხელის-მოწერა 1910 წლისათვის

**დროება**

წლიწადი მესამე — წლიწადი [illegible]

ყოველდღიური, საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

მომავალ 1910 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორითაც მდგომარე წელს გამოდიოდა.

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა 1910 წელსაც გაზეთს ექნება

## სურათებიანი დამატება

დამატება გამოვა კვირაობით.

**გაზეთის ფასი დამატებიანა:** წლით როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

**ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური**

**დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი**

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

1910 წლიურ ხელის მომწერთ დაურიგდებათ

## კედლის კალენდარი 1910 წლის

კვირეულის ფურცლებით.

ტფილისში ხელის მოწერა მიიღება „დროების"-ს კანტორაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ი. ავალიშვილთან; ქალაქ გარედ ხელის მოწერა მიიღება: ქუთაისში—ის. კვიცარიძესთან; ხონში—გიგლა მებუკესთან; გორში—სევ. შველიძესთან; ჭიათურაში სოფრომ ტარუაშვილთან.

**ხელის მოწერის პირობები:**

ხელის მოწერის ფასი ნაწილ-ნაწილადაც შეიძლება მხოლოთ წლიურ ხელის მომწერთათვის, რომელთაც პირველად უნდა შემოიტანონ 3 მან., პირველ მარტისთვის 2 მან., 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მ. 50 კ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან არა ნაკლებ ერთი თვისა და არა უმეტეს წლის გასულისა.

„დროების" კანტორაში ხელის მოწერა მიიღება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამდე. თვის ბოლოს კანტორა კვირა-უქმე დღეებშიაც იქნება ღია.

ქალაქ გარედ ხელის მომწერთ ფული უნდა გამოგზავნონ ამ ადრესით:

Тифлисъ, редакція „ДРОЭБА", И. С. Аглладзе.

მიიღება ხელის-მოწერა 1910 წლისათვის



## ტფილისის კერძო სამკურნალო

30 მუდმივი საწოლით და საშშობიარო განყოფილებით.
ღია არის ყოველ დღე გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ქსენიას ქუჩ, სახლი № 7 „ვეტცელის" სასტუმროს ახლოს,
ტელეფონი № 590.

**ლამბაშიძე ვ. დ.:** შინ. და ბავშვ. ყ.-დღე; გარდა კვირა. 11-12 საათ.
**გედევანიშვილი მ. ა.** ნერ. და ელექ., ორშ., ოთხშ., და პარ. 10½—11 ს.
**გურკო გ. ა.** შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირაში 11—12 ს.
**არშინი. ა. ა.** კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.
**მალალაშვილი გ. გ.** შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.
**ქიქოძე ტ. ს.** შინაგანი. ორშ. და ოთხშაბ. 9—10 ს.
**მანსვეტოვი ვ. მ.** შინ., ორშ., ოთხშ., და პარას. 1—2 ს.
**მელიქიშვილი. ნ. მ.** ქირურ. და დედაკაც. ყოველ-დღე 12—1 ს.
**მუსხელიშვილი ვ. ს.** თვალის, ორშ., ოთხშ. და პარას. 2—2-ნახ. ს.
**ფირადოვი რ. ბ.** ქირურ. ყოველ-დღე 11—12 ს.
**პაპოვი ბ. ა.** ყურ., ყელის და ცხვი., ყოვ. დღე, გარდა პარას. 2—2-ნახ. ს.
**რცხილაძე. ნ.** კბილ. ყოველ დღე. 9—10 ს.
**სობოლევსკი გ. ვ.** ქირურ,. ყოვ. დღე, 9—11 ს.
**თიკანაძე ი. ე.** დედაკ. და საბებიო ყოველ დღე 1—2. ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ. და ბაქტეროლოგიური ლაბორატორ. რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.
რჩევა ღირს 50 კ., საწოლი 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაც., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. საფასურით. (100—ნ.—70).



სამშაბათს, 29 დეკემბერს, „კრუჟოკის" დარბაზში საზოგადოება „განათლება" მართავს

## „ისტორიულ საღამოს"

წარმოდგენილი იქნება შემდეგი სურათები: 1. სემირამიდა დასტირის სომეხთა მეფეს „არაას"; 2. მეფე ალექსი ირჩევს საცოლეს; 3. მეფე ირაკლი მეორე და დედოფალი დარეჯანი მიიღებენ იმერეთის მეფე სოლომონის დესპანებს; 4. სულთანის ჰარამხანა; 5. სიმშვენიერის თაყვანის ცემა ძველ საბერძნეთში. სხვა და სხვა ისტორიული ცეკვა.

**დაუკრავს მუსიკა და საზანდარი.**

საუკეთესო ისტორიული ტანისამოსისათვის მიეცემათ პირველი და მეორე საჩუქარი.

„საღამოს" დიასახლისად არის **კნ. ვ. ალ. ჭავჭავაძისა** (კოჯორის ქ., № 9).
ბილეთები იყიდება 26 დეკემბრიდან თვით „კრუჟოკში".

**დასაწყისი საღამოს 9 საათზე.** (3—2)



## ქართული თეატრი

წარმოდგენა № 23. — წარმოდგენა № 23.

**აბონიმენტი მე-11**

ხუთშაბათს, 31 დეკემბერს, 1909 წ. ქართულ დრამატ. საზოგ. დასის მიერ წარმოდგენილი იქნება ცნობილი ისტორიული პიესა ალ. სუმბათაშვილისა.

## ღალატი

5 მოქმედებად თარგ. გრ. ყიფშიძისა.
მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი.

**ადგილების ფასი ჩვეულებრივია. დასაწყისი სწორედ საღამოს 8 საათზედ.**

შემდეგი წარმოდგენა დანიშნულია 2 იანვარს.

მორიგი რეჟისორი **კ. მესხი.** რეჟისორის თანაშემწე **ვ. ურუშაძე.**

**დრ. საზოგადოების ადმინისტრაცია.**



## ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის
ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიაჯიანცისა, ტელეფონი № 695.

**ვ. ვაჩაყმაძე**—ყოველ დღე 9—11 ს. ბზილის ავადმყოფ.
**გ. გომართელი**—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 2—3 ს
**ა. ნ. დიასამიძე**—ყოვ. დღე, 11½—12½ ს, სიფილისი, კანისა და ვენერ.
**ნ. მ. მელიქიშვილი**—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2, ს.
**ვ. ს. მუსხელიშვილი**—სამშ., ხუთშაბ., და შაბათ 2—2½ ს. თვალისა,
**ბ. ა. პოპოვი**—ყელ., ყურ. და ცხვირ. ყოველ დღე 12—1 ს.
**ე. გ. ფედოროვი**—ყოველ დღე, ოთხშ. და კვირის გარდა, 11—12 ½ ს. შინაგანი და ბავშვების ავადმყოფობანი.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ებიოპერაცი და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—ნ.—232)



## ქ. თელავი

კვირას, 27 ამა დეკემბერს, საკრებულო დარბაზში ქ. შ. წ.-კ. საზოგადოების თელავის განყოფილების სასარგებლოდ პირველად გაიმართება

## მეჯლისი

(КОСТЮМИРОВАННЫЙ БАЛЪ).

თელავის განყოფილების გამგეობა გულითად სთხოვს კახეთის მკვიდრთ, მობრძანდნენ და მით დახმარება გაუწიონ ამ ნორჩ დაწესებულებას. (3—2)



1910 წლის 1 იანვრიდან

**გამოვა ახალი კვირეული სამხატვრო-სალიტერატურო სათეატრო სურათებიანი ჟურნალი**

## თეატრი და ცხოვრება

**იუმორისტიულ განყოფილებით და კარიკატურებით.**

ჟურნალის მიზანია სათეატრო საკითხების გარკვევა-განხილვა. თეატრის წარსული და აწმყო, ისტორია დაიბეჭდება თეატრის შესახებ წერილები, პიესები, ლექსები, მოთხრობები და სხ.

**ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ:** მ. ადამაშვილი, ი. გომართელი, პ. გოთუა, ი. გრიშაშვილი, ვ. გუნია, პ. დადვაძე, შ. დადიანი, ვ. აბაშიძე, დუტუ მეგრელი, ვაჟა-ფშაველა, მ. თოიძე (მხატვარი), გ. თუმანიშვილი, ირეთელი, კ. მესხი, ლ. მეტრეველი, ი. მჭედლიშვილი, ი. ნაკაშიძე, დ. ნახუცრიშვილი, ი. ნიკოლაძე, ტრ. რამიშვილი, ვ. ურუშაძე, ა. ყიფიანი, ვ. მალიკაშვილი, ა. მანშიაშვილი, ო. შმერლინგი (მხატვარი) და სხვა ცნობილი მწერლები და მხატვარნი. კლიშეები მზადდება ქართველთა ამხ. **ცინკოგრაფიაში.**

წლიურად გაგზავნით დამატებებით 5 მან., ნახევარი წლით 3 მან., თითო ნომერი 10 კ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ ნაწილად: ხელის მოწერის დროს 2 მ., დანარჩენიც ორ ნაწილად. ხელის მოწერა მიიღება ტფილისში დრამ. საზოგ. კანტორაში იოსებ იმედაშვილთან; ფოსტის ადრესი: Тифлисъ, контора груз. драм. О-ва, ос. Имедашвили. (4—2)



## გლეხი-კაცის ისტორია

**მიიღება ხელის მოწერა გლეხი კაცის ისტორიაზე**

ცნობილი თხზულება **ერკმან-შატრიანისა.** სრული თარგმანი ფრანგულიდან **ივ. მაჭავარიანის** მიერ ავტორთა სურათებით და მათი ბიოგრაფიული ცნობებით.

ოთხივე ნაწილი ერთ წიგნად გამოვა დაახლოვებით 1100 გვერდამდე დიდი ფორმატის. ხელის-მოწერით ეღირება მხოლოდ **ერთი მანეთი.**

ხელის-მოწერა დაიწყო ამა 1909 წლის 15 ნოემბრიდან, გაგრძელდება 1-ლ იანვრამდე მომავალ 1910 წლისა. ხოლო ამ დღიდან შეწყდება ხელის-მოწერა და ორი კვირის შემდეგ წიგნის ბეჭდვას შევუდგებით. დაიბეჭდება **იმდენი რამდენიც ხელის-მომწერი იქნება.**

ვისაც სურს ამ წიგნის შეძენა უნდა ეცადოს უსათუოდ 1 ლ იანვრამდე მოაწეროს ხელი ვინაიდან ეს წიგნი **ცალკე გასასყიდათ არ გამოვა.**

იმ ადგილებიდან, სადაც ჩვენ აგენტები არ გვყავს, ხელის-მომწერლებმა ერთი მანეთის გარდა უნდა გამოგზავნონ კიდევ **ათი შაური** ფოსტის ხარჯათ ე. ი. სულ 1 მ. 50 კ. თითო წიგნზე. ფულის მაგიერ შეიძლება ფოსტის მარკების გამოგზავნაც საგანგებო წერილით. (заказ. письмо). გამომცემლობა ეცდება წიგნი დანიშნულ დროზე გამოსცეს გამოცემის ტეხნიკური მხარე მტკიცე ნიადაგზე დავაყენეთ და ისეთი დაბრკოლება, როგორიც მოხდა „ეკონომიურ მეცნიერების მოკლე კურსი"-ს გამოცემაზე, ამიერიდან აღარ განმეორდება. წიგნი დაახლოვებით პირველ აპრილისთვის დაურიგდება ხელის-მომწერთ.

ხელის მოწერა მიიღება იმ აგენტებთან რომელთა სიაც გამოცხადებული იყო 6 დეკემბრის „დროების" და „მომავლის" ცალკე ფურცელში.

ფული და სხვა მიწერ-მოწერის ქაღალდები, აგენტურის და ხელის მოწერის შესახებ უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Тифлисъ. Василію Гадилія. Кирочная ул. N 9.

წიგნების გამომც. ამხ. „ალიონი"-ს გამგე **ვასილ გადილია.**

(20—15)



◀ სახალხო სახლი ▶

კვირას, 27 დეკემბერს, დილის 11 საათზე, ექსტერ იენსკის პსიხო-გრაფოლოგიურ ინსტიტუტის ? (გერმანიაში) **ბ. კანევსკი** წაიკითხავს ლექციას

## ჰიპნოტიზმზე და პირადულ მაგნეტიზმზე

1. შემოკლებული ისტორიული აღწერა და ახალი შეხედულება ჰიპნოტიზმსა და მაგნეტიზმზე. 2. უმთავრესი ისტორიული ხანები. 3. იდეის დაბადება მაგნეტიზმზე. 4. დიდი მოაზრე—თეოფრასტ პარაცელსი. 5. ახალი ისტორია ჰიპნოტიზმზე. 6. სინათლის გამოსვლა ადამიანის სხეულიდან, გამოკვლეული ავსტრიელ მეცნიერის ბარ. რეიხენბახისაგან.

მიწის გავლენა ადამიანის სხეულზე. პირადულ მაგნეტიზმზე. განვითარების საშუალება (ფიზიკური და სულიერი). სხვა და სხვა მეთოდები ჰიპნოტიზმის გამოწვევისა. აზროვნების ძალა. საიდუმლოება—მეურყეველ ხასიათის გასანვითარებლად. აზრის გადაცემა შორს მანძილზე. დასკვნა.

შენიშვნა: პირადულ მაგნეტიზმზე ტფილისში კითხულობენ პირველად. დასაწყისი 11 საათზე. ფასები: 5 კ. 50 კ-მდე. ბილეთები იყიდება სახალხო სახლის კასაში ყოველ დღე 12—2 ს. და საღ. 6—8 ს. (2—798—1)



✦ სახალხო სახლი ✦

**ორშაბათს, 28 დეკემბერს,**

მუსიკალური საზოგადოება, სახალხო სახლთან არსებული, წარმოადგენს

## სევილიელ დალაქს

ოპერა სამ მოქმედებად, მუს. როსსინის. მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი აგასოვისა, ტამარინისა; ბ-ნნი აგასოვი, კოვალენკი, კუზანოვი, ცხომელიძე, იაკოვლევი. დოლინი და სხვანი.

ხორს და ორკესტრს დირიჟორობს პ. პ. ფალიაშვილი. უფროსი რეჟისორი ი. რატილი. რეჟისორი გ, კუზავოვი. ● ფასები 5 კ.-დან 80 კ.-მდე. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ● ბილეთები იყიდება კასაში ყოველ დღე 12—2 და 6—8 ს.

მზადდება წარმოსადგენად ოპერები: „რუსალკა", „ტრავიატა", „რიგოლეტო".

იანვრის პირველ რიცხვებში გაიმართება საზოგადო კრება; მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერნენ სახალხო სახლის კასაში—ყოველ დღე საწევრო ფული ერთი მანეთი წელიწადში. კრების დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

ადმინისტრატორი **თ. დოლიძე** (2—798—1)



კვირას, 27 დეკემბერს, დილით 12 საათზე, ტფ. საურთიერთო სამეურნეო ბანკის სადგომში (სასახლის ქ. სახლი სარაჯიშვილისა) დანიშნულია

## საგანგებო კრება

**„ახალ კლუბის" წევრთა**

განსახილველია შემდეგი საქმეები:

1. მიღება კლუბის ახალ წევრებისა,
2. მოხსენება საბჭოსი კლუბისათვის ბინის დაქირავების შესახებ,
3. შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა 1910 წლისათვის

და 4. მოხსენება ერთ დროულად ფულის ვადახდის შესახებ კლუბის ბინის მოსაწყობად. (2—ნ.—2)



## სამკურნალო

**ექიმთა საზოგადოებისა**

მუდმივ კრაოტებით.
მიხეილის პრ., 59. ტელეფონი N 1026.

**ავადმყოფთა მიღება:**

**მ. ალაჯანოვი**—საშარ. სიფილ. და კან. 11—12 საათ.
**ნ. ათენიანცი**—ყურ., ცხვირ. და ყელ. 1—2 ს.
**ვ. ვნუკოვი**—ქირურგიული ავად. 1—2 ს.
**ი. ეგიაზაროვი**—ნერ. და შინ. 11—12 ს.
**მ. კიმონტი**—ქირურგ. ავად. 11—12 ს.
**მ. მაგაკიანი**—შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.
**ლ. მონინა**—ქალის ავად. და ბებიაობა 1—2 საათ.
**მ. კალმიკოვა-ვნუკოვა**—ქალის შინაგ. 2—3 საათ.

სამკურნალოსთან ელექტრონით ექიმობა. მასაჟი; მიკროსკ., ბაქტერ. და ქიმიური გამოკვლევანი. ყვავილის აცრა. ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კ. ოპერაციები და კონსულტ. შეთანხმებით. საავადმ. განყოფილება შესდგება საზოგ. პალატებისა და ცალკე ნომრებისაგან. (100—ზალ.—90)



## სამკურნალო

სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარეთან მოსიარულე ავადმყოფთათვის.
ვანქის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად. ტელეფონი N 483.

**ფასი რჩევისათვის 50 კაპ.**

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

**რიდელი**—ბავშვ. შინ. ყოველდღე 3-4ს.
**თეთრაძე**—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.
**პავლოცკი**—ქირურგ. ყოველდღე 4—5
**იოსელიანისა**—ქალ. ავად., ორშაბათ, ოთხშ., პარას., კვირა 11—12 საათ.
**ბოჟოვსკი**—შინაგანი ჰიპნოზი. ყოველ დღე 4—5 საათ.
**ჩუდნოვსკი**—ნერვებ, სულ.-ავ. ელექტრ. ორშ. ოთხშ. და პარასკ. 4—5 მ.
**ერმოლაევი**—ბავშვ. ყ.-დღე 1—2 ს.
**ვნუკოვი**—ქირურგ. ყოველდღე 2—3.
**ნოვიცკი**—[illegible]ებ., ქალ., ყოველდღე 1—2
**აბვლედიანი**—შინაგ. და ბავშვ. ყოველ დღე 11—12½ საათ.
**კალამქაროვი**—ბებ., ქალ., ყოველდღე კვირის, გარდა 4—5 საათ.
**ბალდინა-ნოვიცკაია**—ცხვ. ყელ. ყურის. 11½—12½ საათ.
**ასპიროვი**—ცხვ, ყელ. ყურ. 1—2 ს.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძებისა და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ, ვასსნარის მრატით. (00—ნ.—131)



**ქუთაისში**

კბილის ექიმის **დ. ს. რიჟინაშვილის** კაბინეტთან **გაიხსნა**

## სამკურნალო

პირისა და კბილების სენისა. პლომბები, ჩასმა ხელოვ. კბილებისა, გადაკეთება, კბილების ამოღება და სხვა ოპერაციები უტკივრად. ნიხრი მთავრობისაგან დამტკიცებულია. მოსიარულე ავად. მიღება ყოველ დღე დილის 8-დან საღ. 7 ს.-მდე. პუშკინის ქუჩა, საკ. სახლი, N 28. **ვიტუშინსკის** აფთიაქის გვერდით. (100—ნ.—68)



## კაბინეტი

**ელექტრონის და რენტგენის სამკურნალოსი მ. გედევანიშვილისა.**

იღებს ავადმყოფებს დილით 12—1 ს. საღამოთი 6—საათ. ვერა ჟორდანიის ქუჩა, საკუთ. სახლი, N 20, ტელ. N 79. (0—ნ.—1362)



## ექიმი ლ. ნ. ოჯანჯანოვი

ყოფილი ასისტენტი პროფ. ნიცისა ბერლინში, სპეციალურად: **საშარდეს, სიფილისის, ვენერ. და კანის ავადმყოფობანი.** დილით 9—11 ს., საღამოთი 6—8 ს. ბავშვები და ქალები 11—12 ს. კაცდეტის ქ., N 2. (გოლოვინსკის ქუთხე). (100—ზალ.—93)



## ექიმი ქუთაისში კ. თ. ტუეშელაშვილი

იღებს შინაგან და **სპეციალურად ვენერიულ** სნეულებით ავადმყოფთ (სუსუნატი, სიფილისი, საშარდე მილის, ბუშტის და თირკმელების (ჭაჭების) სატკივარი, დილით 9—12, საღამოთი 5—7; კვირაობით მხოლოდ დილით. ტფილისის ქ., სახლი ფირალოვისა. (0—ვგ.—134)



## ექიმი კ. ს. ფონ-ირტელი

არჩენს სპეც. ქირურ., სამ., ვენერ., სიფ., ქარ. და კანის ავადმ. (სქას. უძლ., სისუსტ., ქრონ. ტრიპერი, სიფ. შედეგი, ბუასილი და სხვ.) დილ. 9—11 ს., საღ. 5—8 ს. ვორონ. მეგლ., მონუმენტის შეს. N 5, ს. შაფრანოვისა, ბუფ. გვერდზე. (100—ზალ.—80)



**სპეციალისტი ექიმი ქუთაისში**

**ჩარექოვი**

იღებს განსაკუთრებით **სიფილისიან, ვენერიულ და კანით** ავადმყოფებს. ილია ჭავჭავაძის ქუჩა (გიმნაზიის ქუჩა), აბულაძის მეზობლად, იოსელიანის სახლი, დილით 12—2 ს. საღამოთი 6 საათზე. 25—ფე.—2



იანვრის პირველ რიცხვებში 1910 წ. ქალ. ბაქოში გამოვა ქართულ ენაზე ყოველ-კვირეული საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

## „მარცვალი"

მიიღება ხელის მოწერა 1910 წლისათვის.

გაზეთის ფასი: ერთის წლით 3 მ. 20 კ. ნახევარი წლით—1 მ. 70 კ., ცალკე ნომერი—5 კაპ.

ყოველგვარი წერილები და აგრეთვე ფული უნდა გამოიგზავნოს შემდეგი ადრესით: Баку. Типографія Эриванцова. Въ редак. груз. газеты „Марцвали".

რედაქტორ-გამომცემელი **ვ. გელოვანი.** 4—1



კაზმული მწერლობა—მხატვრობა—მუსიკა—თეატრი.

## „ფასკუნჯი"

**სალიტერატურო—სამხატვრო ჟურნალი 1910 წლის**

იანვრიდან გამოვა თვეში ერთხელ ოვ[illegible]ური ჟურნალის სახით.

„ფასკუნჯში" დაიბეჭდება მოთხრობები, ლექსები, პიესები; კრიტიკული და და ისტორიული წერილები კაზმული მწერლობის, მხატვრობის, მუსიკის და თეატრის შესახებ; ხელოვნების ქრონიკა, და

◀ სურათები ▶

ფერადი და ფოტოტიპიური ერთფერი.

„ფასკუნჯი" განსაკუთრებულ ყურადღებას მიაქცევს ქართული ხელოვნების ნაშთებს.

გარდა ჟურნალისა ყოველს ხელის-მომწერს, რომელიც მთლად გადაიხდის წლიურს ფასს, საჩუქრად მიეცემა.

◀ შოთა რუსთაველის ▶

დიდი ფერადი სურათი (11—8 ვერშ. ზომით)

„ფასკუნჯში" მონაწილეობას იღებენ: აკაკი, კ. აბაშიძე, შ. არაგვისპირელი, განდეგილი, ი. გომართელი, ი. ევდოშვილი, ან. ერისთავი-ხოშტარია, დუტუ-მეგრელი, ს. მგალობლიშვილი, დ. ლუკაშვილი, კ მალაქიაშვილი, ნ. ლომაური, ნ. ნაკაშიძე, ი. ნაკაშიძე, ი. ნიკოლაძე, თ. რაზიკაშვილი, გრ. რობაქიძე, ა. სარაჯიშვილი, სიტყვა, ზ. ფალიაშვილი, ი. ფანცხავა, ალ. ხახანაშვილი, ვ. მალიკაშვილი, ალ. მანშიაშვილი,. ტ. შევარდენაძე, კ. ყიფიანი, გრ. ყიფშიძე და სხვ.

ჟურნალის სამეურნეო ნაწილის (ბეჭდვა, დასურათება და სხ.) გამგენი არიან: კ. მესხიშვილის ლიტოგრაფია და „სორაპანის" სტამბა.

ჟურნალის ფასი; წლით 5 მან., 6 თვით 3 მან. წლიური ფულის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილად: თავში 2 მან, მაისში 2 მ. და სექტემბერში 1 მან.

ჟურნალი ნომრობით არ გაიყიდება.

ხელის-მოწერა მიიღება ტფილისში: კ. მესხიშვილთან, სორაპნის სტამბაში და წ.-კ. საზოგადოების მაღაზიაში. პროვინციაში აგენტებთან.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, типографія „Сорапани".

(6—3) რედაქტორ-გამომცემელი **ს. ფირცხალავა.**





## ძმ. ნიკიტინების ცირკი.

შაბათს, 26 დეკემბერს, გაიმართება ორი წარმოდგენა; შაბათსაც, 27 დეკ., ორი წარმოდგენა იქნება. დილით დაკლებული ფასებით ბავშვებისთვის. მონაწილეობას იღებენ ევროპიელი არტისტები, **სულ ახალი დასი,** პირველად ტფილისში. უდიდესი პროგრამა. უკანასკნელი პროგრამმა საზღვარ გარეთის ცხოვრებისა და იპოდრომებისა. დასასრულ ახალი ფეერ ა. საოცრება: **კაცი მაიმუნი.** დაწვრილებით პროგრამებში.

**დასაწყისი საღამ. 8½ საათზე.**

დირექტორი **ა. ნიკიტინი.**

(0—ს.—6) გამგე **გამსახურდია.**



## ექიმი კბილისა ნინო რცხილაძე

იღებს ავადმყოფებს დილით 10—2 ს., საღამოთი 5—7 ს. ვერა, ოლგას ქუჩა N 25.



## ექიმი ვ. ლამბაშიძე

გადავიდა გოლოვინის პრ. N 8, ზუბალაშვილის სახლში. იღებს საღამოთი 6—7 ს კვირა დღის გარდა. (ე



## ექიმი ვ. მაგაკიანი

**შინაგანი და ბავშვთა ავადმყოფობანი, სპეციალური ავად. ნაწლავებისა და კუჭისა.** ავადმყოფებს იღებს დილით 12—1 ს., საღამოთი 5—6 ს, მიხეილის პრ., N 36, საჩ. ჭავჭანიძისა. (100—ზალ.—64)

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდან)

რუსეთში საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიას არავინ არ იცავს ისე თავგამოდებით, როგორც ნ. დურნოვო. სხვათა შორის, ამას წინად დურნოვომ „პეტ. ვედ."-ში დაბეჭდა წერილი და კვლავ მოითხოვა ავტოკეფალია. ამაზე პასუხი გასცა სასულიერო ჟურნალმა „კოლოკოლმა", რომლის სულის ჩამდგმელიც რუსეთში ცნობილი სინოდის მისიონერი სკვორცოვია. ამ გაზეთმა სასაცილოდ აიგდო დურნოვო და, სხვათა შორის, დაბეჭდა: **გუჩკოვი კონსტიტუციონურ მონარქიის დამყარებას ცდილობს, ხოლო დურნოვო კონსტიტუციონურ საექსარხოსოსიო.** ეხლა „პეტ. ვედ."-ში (№ 276) დაბეჭდა ამის საპასუხო წერილი დურნოვოსი, იგი ეკითხება „კოლოკოლს" და სკვორცოვს:

1. რომელ საეკლესიო კანონებშია ნათქვამი, რომ უმართებელეს სინოდს, რომლის წევრებადაც არიან საერო მთავრობის მიერ დანიშნული იერარქები და არა საეკლესიო იერარქიისაგან არჩეულნი, შეეძლოს თავის ნებით გააუქმოს მსოფლიო და ადგილობრივ საეკლესიო კრებების დადგენილებანი, რომელიც შეეხებია ივერიის ეკლესიის ავტოკეფალიას?

2. არსებობს თუ არა რაიმე დადგენილება საქართველოს ეკლესიის იერარქთა კრებისა, რომ საქართველოს ეკლესია შეუერთდეს რუსეთის ეკლესიას?

3. არსებობს თუ არა ამის შესახებ დასტური აღმოსავლეთის ეკლესიის პატრიარქებისა?

4. რომელ საეკლესიო კანონს ემყარება უმართებელესი სინოდი, როცა ჰგზავნის რუსს ექსარხოსად ივერიის 13 ეპარქიის მართველად.

5. აქვს თუ არა უფლება უცხო ტომის და უცხო ეპარქიის იერარქს, აუკრძალოს მართლმადიდებელ ერს შეასრულოს ღვთისმსახურება თავის სამშობლო ენაზე, უარჰყოს და ფეხქვეშ გასთელოს ეს ენა და იმით დაარღვიოს მცნება ეკლესიის დამაარსებელისა, რომელმაც სული წმინდა მოჰფინა თავის მოციქულებს?

დეე, ვ. მ. სკვორცოვმა, რომელიც დიდიხანია განაგებს ჩვენი ეკლესიის საქმეებს, აგვიხსნას რა აზრით და მიზნით სდევნიან ქართულ ეკლესიას? იქნებ ამას პროვოკაციის აზრით სჩადით, რომ ქართველებს სეპარატიზმი დასწამოთ, უკმაყოფილება გამოიწვიოთ საზოგადოებაში და სარწმუნოებაში და მით დააბნელოთ საკითხი; ან იქნებ რამე სხვა აზრი გასულდგმულებთ, ისეთი, რომელიც არც ქართველ ერს, არც ქომაგთ მართლმადიდებელ ქართულ ეკლესიისას ვერ გაუგიათ? რომ ჭეშმარიტებას არ ვუღალატოთ უნდა ვაღვიაროთ, რუს ეპისკოპოსს უფლება არა აქვს საქართველოში ექსარხოსად იყოს. იგი უნდა იყოს მხოლოდ დროებით წარმომადგენელი რუსის სინოდისა კათოლიკოსის წინაშე. ასეა სასულიერო კანონებით, ხოლო რუსეთის სახელმწიფოს ძირითადი კანონები უფლებას აძლევენ ყველა ერს, ადიდონ უფალი თავის მამა-პაპის ენაზედ და იყოლიოს თავისი სულიერი მწყემსები. რა მიზეზია, რომ მხოლოდ ქართველის შესახებ ირღვევა როგორც საეკლესიო, ისე ძირითადი კანონები?

# დეპეშები

პეტერბ. დეპეშ. სააგენტოსაგან 23 დეკემბერი.

### სპარსეთი

**თეირანი.** უარჰყოფენ იმ ხმას, ვითომ რახიმ-ხანი გარდაცვლილიყოს. ჰფიქრობენ, რომ რახიმ ხანი მულანში იმალება.

ყარადაღის გუბერნატორად დანიშნეს სერდარ მ..ხახამი.

### საზღვარ-გარეთ

**ვენა.** იმპერატორმა მიიღო ლუკაჩი და წინადადება მისცა პარტიებთან მოლაპარაკება გამართოს ახალ სამინისტროს შედგენის შესახებ.

### ჰაერში ფრენა

**ბორდო.** ფრენის დროს ჩამოვარდა ცნობილი ავიატორი დელიაგრანჟი. დელიაგრანჟი სასიკვდილოდ დაშავდა.

### რუსეთი

**პოლტავა.** 21 დეკემბერს სამი შეიარაღებული ბოროტ განზრახველი თავს დაეცა ფიშელოვის მაღაზიას. ბოროტ-განზრახველებმა გაიტაცეს 300 მანეთი. მათ დაედევნა მაღაზიის პატრონი. ბოროტ-განზრახველებმა რამდენჯერმე ესროლეს ფიშელოვს, მაგრამ უშედეგოდ. ბოროტ-განზრახველები მიიმალნენ.

**პეტროზავოდსკი.** საგუბერნიო ერობამ დაადგინა გუბერნიაში გახსნას 12 ახალი სამკითხველო. თვითეულ სამკითხველოსთვის გადასდო 500 მანეთი.

**პეტერბურგი.** სასამართლო პალატამ განიხილა პსიხო-ნევროლოგიურ ინსტიტუტის 11 სტუდენტის საქმე. ბრალდებოდათ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის წევრობა. სასამართლომ გადაუწყვიტა რვას გადასახლება, სამი გაამართლა.

**პეტერბურგი.** მთავარმა სამხედრო სასამართლომ არ შეიწყნარა ოთხი ჩინელის საკასაციო საჩივარი. ბრალდებოდათ ძარცვა-გლეჯა, რისთვისაც სამხედრო სასამართლომ ჩამოხრჩობა გადაუწყვიტა.

**ტოკიო.** იაპონიის იმპერატორის ბრძანებით ორდენებით დააჯილდოვოს რუსეთის მოსაზღვრე ჯარის ის ოთხი ოფიცერი, რომლებმაც იაპონელებს ხელი შეუწყეს თავად იტოს მკვლელების დაპატიმრებაში.

### ხოლერა და შავი ჭირი

**მოსკოვი.** დღე ღამეში ხოლერით ავად გახდა 6, გარდაიცვალა 1 კაცი.

**ასტრახანი.** აკბალიკში შავი ჭირით ავად გახდა 11, გარდაიცვალა 22 კაცი.

**პეტერბურგი.** დღე-ღამეში ხოლერით ავად არავინ გამხდარა. ავად არის 7 კაცი.

**ურალსკი.** უკანასკნელ ოთხი დღის განმავლობაში შავი ჭირით ავად გახდა 11, გარდაიცვალა 12 კაცი.

# მამულის გაყიდვის შესახებ

(ბ-ნ ვლ. ყარანგოზიშვილის წერილის გამო)

ამას წინად ბ-ნმა ვლ. ყარანგოზიშვილმა გაზეთ „დროების" საშუალებით აუწყა ქვეყანას, რომ „მე გლეხებს რამდენჯერმე შევსთავაზე ჩემი ადგილები სასყიდლად, მაგრამ მათ ყოველთვის უარი მითხრეს, მეც ავდექ და რუსებს მივყიდეო".

როგორც გლეხების ნალაპარაკევიდანა სჩანს, ბ-ნ ვლად. ყარანგოზიშვილის ეს სიტყვები სიმართლეს არ ეთანხმება. მართალია, 1905 წელს შეჰკითხებია გლეხებს ამ საგნის შესახებ, ისიც რამდენიმეს და ცალკეულად, მაგრამ მოგეხსენებათ რა დრო იყო 1905 წელიწადი. მოძრაობის შედეგი გლეხებს კი არა, ბრძენსაც არ შეეძლო გაეთვალისწინებინა. მას შემდეგ, როცა სხვა ნიავმა დაჰბერა, ბ-ნ ვლადიმერს გლეხებისათვის ადგილები არ შეუძლევია სასყიდლად. მის მიერ დასახელებული ვითომდა შუა კაცები (გლეხები მყავს მე სახეში) ისეთი პირები არიან, რომ აბაზის გულისათვის რაც და როგორც უნდათ, ისე იტყვიან ყველაფერს. თუ გლეხისთვის გულით უნდოდა ადგილის მიყიდვა, განა ცოტა უმიწა-წყლო ხალხი ასხია მთიულეთს, გუდამაყარს და ხევს, სადაც მას ნაყმევებიცა ჰყავს დღეს? ან და, როცა რუსებზე ჰყიდდა ადგილებს, რატომ არ დაიბარა დუშეთში ეს გლეხები და არ უთხრა მათ თავისი გულის წადილი? აი, თუ ამ შემთხვევაში გლეხები უარს იტყოდნენ, მაშინ აშკარა იქნებოდა ყველაფერი.

რომ ამგვარი ცდა უნაყოფოდ არ ჩაივლიდა, ამას წარსულ თვეების მაგალითები გვიმტკიცებენ. წარსულ თვეებში სოფელ ჩრდილულიანთ-კარელი გლეხებირ აიდენჯერმე მივიდნენ ბ-ნთ ლადო და ერთაოზ ყარანგოზიშვილებთან და სთხოვეს, რომ რუსებზე გაყიდული ადგილები მათთვის დაეთმოთ შესაფერ ფასში. პირობის დარღვევისათვის დადგენილ ჯარიმასაც თავათ კისრულობდნენ გლეხები გლეხები სიხარულით ცასა სწვდებოდნენ, რომ ერთის ადგილები მაინც შერჩათ. მაგრამ, დახეთ უბედურობას! —ეს სიხარულიც მოკლე ხნისა გამოდგა. მეორედ რომ მივიდნენ, ბ-ნმა ერთაოზმაც. ბ-ნი ერთაოზი სიამოვნებით დასთანხმდა, ვლადიმერმა კი უარი უთხრათ. გლეხები ამ უარის სათავესაც მალე მიჰხვდნენ. მივიდნენ ხელმეორედ ბ-ნ ვლადიმერთან, ბევრისაგან ბევრი სთხოვეს, რომ, თუ შენსას არ მოგვყიდი, სხვას ნუღარ უშლი ხელსაო და დაგვეხმარე ერთაოზთანაო. მაგრამ არავითარმა ხვეწნავედრებამ არ იმოქმედა მასზე. ამ რიგად ამ ყარანგოზიშვილების წყალობით, გლეხები დღეს იქნება თუ ხვალ უნდა გამოეთხოვნენ მამაპაპათა სისხლით მორწყულ ადგილებს და სადმე გადაიხვეწნენ.

ამ ყარანგოზიშვილების ადგილების გაყიდვით რომ თავდებოდეს საქმე, კიდევ არა უშავდათ რა, მაგრამ უბედურობა ის არის, რომ მახლობელი აზნაურნიც — ჩრდილელები, კობიაშვილები, შაბურიშვილები, ქილაშვილი და სხვანი — ბ-ნ ლადო ყარანგოზიშვილის თაოსნობით, მზად არიან მიჰყიდონ უცხოელებს თავიანთი ადგილები. ამ ბოლო დროს ბ-ნმა ლადომ გ. ზანდუკლის და მისი ძმისწულების ქონების აპეკუნობა იკისრა. ეს ზანდუკლები თვალსაჩინო მემამულენი არიან მთელ არაგვზე. ეჭვი არ არის, ამ მამულებსაც უცხოელებს ჩაუგდებს ხელში. რა ენაღვლება, რა დაჰხარჯვია, რა მწარე ოფლი მოუწურავს მათ შეძენაში.

ამნაირად, დუშეთის არე-მარე და არაგვის პირი მალე მოიფინება უცხოელების ახალშენებით.

ტბისპირელი.

„დროების" ხვალინდელ (შობის) სურათებიან დამატების შინაარსი: „საიდუმლოება ძველებურ ციხე-დარბაზისა" (თარგმანი); სურათები: „შობა ქრისტესი" —ძველი ქართული მხატვრობა, გადმოღებული გელათის სახარებიდან; ჩეხების სკოლა ქუჩაში და კარიკატურა.

# ახალი ამბავი

### ტფილისი

✦ **რკინის გზა ბათუმიდან ართვინამდე.** გაზეთების სიტყვით, გზათა სამინისტროს საბოლოოდ გადაუწყვეტია ბათუმიდან ართვინამდე გაიყვანოს რკინის გზა.

✦ **ტრამვაი ნაძალადევში.** ელექტრონის ტრამვაის გაყვანა ნაძალადევსა და ავჭალის ქუჩაზე დაგვიანდა ტფ. ქალაქის საბჭოს წყალობით, რომელმაც არ ისარგებლა უფლებით და არ აიძულა უსახელო საზოგადოება გაეყვანა გზა ხელშეკრულების თანახმად. როგორც ეხლა გავიგეთ, უსახელო საზოგადოება გზის გაყვანას 1910 წლის გაზაფხულზე შეუდგება.

✦ **ელექტრონის სადგურების დათვალიერება.** ტფ. ქალაქის გამგეობამ წინადადება მისცა ქალაქის ტეხნიკოსებს, დაათვალიერონ ქალაქში ირსებული საელექტრონო სადგურები და გამოარკვიონ, რამდენად მოხერხებულ ადგილებშია და მცხოვრებთათვის მათგან საშიში ხომ არაფერია მოსალოდნელი.

✦ **არამკითხე „რევიზორი".** ტფილისის მცხოვრებმა ქალმა მ. ი. პონომარევმა პოლიციას განუცხადა, ჩემს სარძევეში 21 დეკემბერს მოვიდა ვიღაც კაცი, რომელმაც სავაჭრო საბუთები მომთხოვა, ვითომ და რევიზის მოსახდენად, ამასთან დაიწყო ოქმის წერაო. უცნობი აფიცრის ტანისამოსში ყოფილა გამოწყობილი. ცოტა ხნის შემდეგ უცნობმა ქალს საქმელი და სასმელი მოსთხოვა. ბოლოს ყალბი რევიზორი ისე გათამამდა, რომ ქალს ხელი წაავლო და გაუპატიურება მოუნდომა, ქალი ქუჩაში გავარდა და ყვირილი შეჰქმნა. პოლიციამ დააპატიმრა თავხედი „რევიზორი".

✦ **„ახალი კლუბი".** მეორე წელიწადია დამტკიცებულია წესდება „ახალ კლუბისა", მაგრამ დღემდე კლუბის მოქმედების დაწყებას არა ეშველა რა. ახალმა საბჭომ მხნედ მოჰკიდა საქმეს ხელი და 22 დეკემბერს დაადგინა, დაიქირაოს საზაფხულო და საზამთრო სადგომები კლუბისათვის სათავადაზნაურო ქარვასლაში. ჯერ-ჯერობით კლუბს ექნება კარგა მიზრდილი ზალა და 8 ოთახი, ხოლო ახლო მომავალში ორმეტ ოთახზე მეტს. საბჭომ შეადგინა ...გრეთვე ხარჯთ-აღრიცხვაც მომავალ წლისათვის, შემოსავალი ქანგარიშებია 29,000 მან., ხოლო ხარჯი 24,000 მანეთამდე. საბჭომ ამავე სხდომაზე დაადგინა დანიშნოს საზოგადო კრება კლუბის წევრებისა კვირას 27 დეკემბერს, დღით 12 საათისთვის, ტფ. სამეურნეო ბანკის სადგომში.

✦ **საჩუქარი დღესასწაულებისთვის.** მომავალ დღესასწაულებზე ტფ. ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის მოხელეთათვის გადაუდვიათ 4,000 მანეთი, ხოლო ოლქის გამგეობის მოხელეთათვის 500 მანეთი. გადადებულ ფულიდან ტფ. ფოსტა-ტელეგრაფის კანტორისათვის გამოჰყვეს 1000 მანეთი, რომელსაც დღეს დაარიგებენ.

✦ **სანოვაგე.** ტფილისში სოფლებიდან და შორეულ ადგილებიდან დიდ ძალი სანოვაგე შემოვიდა. ქალაქის სასანიტარო კომისია ყველა უბანში დადის ამოწმებს და ამ სანოვაგეს. რამდენსამე უბანში კომისიამ კიდეც აღმოაჩინა უვარგისი სანოვაგე და ათზე მეტი ოქმი შეადგინა.

✦ **მოსწავლე ახალგაზრდობა.** ტფ. პოლიცმეისტერმა უბრძანა ბოქაულებს, დაავალონ პოლიციის მოხელეებს, განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ ქალაქის ქუჩებში მოსეირნე მოსწავლე ახალგაზრდებს, რათა მათ ცუდი ყოფა-ქცევით მოსეირნე ხალხს უსიამოვნება არ მიაყენონ.

✦ **მინდვრის თაგვი.** ტფ. მაზრის სოფ. კოდსა, კუმისსა, ვაშლოვანსა, ბორჩალოსა და სხვაგან, თბილ ამინდების გამო, მინდვრის თაგვები გაჩენილან. ნათესს ეს თაგვები ძალზე აფუჭებენ თურმე.

✦ **დაპატიმრება.** დეპეშითა სააგენტო იუწყება: ბაქოს მახლობლად დააპატიმრეს ოთხი ცხენოსანი. მათ თან მიჰქონდათ ოთხი ათასი თოფის პატრონი.

✦ **ლექცია.** კვირას, 27 დეკემბერს, დილის თერთმეტ საათზე ბ-ნი ვანეევსკი წაიკითხავს ლექციას ჰიპნოტიზმსა და მაგნეტიზმზე.

✦ **ელექტრონის სადგური.** ქალაქის გამგეობამ დაავალა ინჟ. კა...

# ქართველ სტუდენტთა პირველ აღწერის შესახებ

პეტერბურგის უნივერსიტეტთან არსებულმა ქართულმა სამეცნიერო წრემ წარსულ სამოსწავლო წლის მეორე ნახევარში შეიმუშავა საანკეტო ფურცელის გეგმა ქართველ სტუდენტთა მდგომარეობის გამოსარკვევად. ეს საანკეტო ფურცელი წარსულ ზაფხულშივე უნდა დაბეჭდილიყო ტფილისში, მაგრამ სხვა და სხვა პირობის გამო იგი დაიბეჭდება მხოლოდ საახალწლოდ და იანვარშივე დაიგზავნება რუსეთისა და საზღვარ-გარეთის საუნივერსიტეტო ქალაქებში, სადაც-კი, რასაკვირველია, ქართველი მოსწავლე ახალგაზრდობა მოიპოება.

ვიდრე წრე შეუდგებოდეს ამ საქმის განხორციელებას, საჭიროდ მივაჩნია გავაცნოთ საზოგადოებას და ქართველ სტუდენტთა ფართო წრეებს ამ დაწყების მნიშვნელობა, რადგან თვით ამ შრომის ნაყოფიერება მხოლოდ იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორის ყურადღებით მოეპყრობა ქართველ სტუდენტთა უმრავლესობა; რამდენად მიიღებს იგი ამ საქმეში აქტიურ მონაწილეობას და ყველა ჩვენგანი თავის წმიდა მოვალეობად ჩასთვლის—არ დაიშუროს ორიოდე საათის შრომა და ყურადღებით გასცეს პასუხი მოწოდებულ საანკეტო ფურცელში აღნიშნულ კითხვებზე.

ამ ბოლო წლებში ძალიან გაშხირდა აღწერა სტუდენტთა შორის. თუ ამ რამდენიმე წლის წინად აღწერებს სტუდენტთა ორგანიზაციები ან კერძო პირები ახდენდნენ, ახლა თვით საუნივერსიტეტო მართველობაც დიდის ყურადღებით ეპყრობა ამ საქმეს და თვითონვე აწესრიგებს სტუდენტთა აღწერის საქმეს მათ მდგომარეობის (უმთავრესად ქონებრივ) გამოსარკვევად.

1909 წელს, მაგალითად, პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორთა საბჭოს კრებამ გადასწყვიტა აღწერის მოხდენა პეტერბურგის უნივერსიტეტში, სადაც 10.000-ზე მეტი სტუდენტია. ამ საქმის მოწესრიგება და სისრულეში მოყვანა დაავალეს სტატისტიკის პროფესორს კაუფმანს, რომელმაც უკვე შეიმუშავა განსაკუთრებულ კომისიის დახმარებით ვრცელი საბიუჯეტო ანკეტის ფურცელი და ამ ზამთარსვე მოიწვია სტუდენტთა ორგანიზაციების (უმთავრესად ზემლიაჩესტვოები) წარმომადგენელნი საქმის გამოლოლაში მონაწილეობის მისაღებად. 1910 წლისათვის განზრახულია ხარკოვის სტუდენტთა საერთო აღწერა. პეტერბურგის საპოლიტეხნიკო ინსტიტუტშიაც ამ სამოსწავლო წლის მეორე ნახევარშივე მოხდება აღწერა ამ ინსტიტუტთან არსებულ „სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოების" ხელმძღვანელობით.

მაგრამ ყველაზე საინტერესო ცნობებს იძლევა იურიევის უნივერსიტეტის „სტუდენტთა საზოგადოების" მიერ 1907 წ. მომხდარი აღწერა, რომლის შედეგებიც წრეულს გამოსცეს პეტერბურგში პროფესორ ვ. ვ. სვიატლოვსკის წინასიტყვაობით.*) როგორც პროფ. სვიატლოვსკის წინასიტყვაობიდანა**) სჩანს, სტუდენტთა მდგომარეობას უკვე დიდი ხანია, რაც საზოგადოების ყურადღება მიუპყრია. სხვა და სხვა წრის საშუალებით იმართებოდა თურმე აღწერები სტუდენტთა შორის რუსეთის სხვა და სხვა საუნივერსიტეტო ქალაქში.

პირველი აღწერა მომხდარა 1872 წელს კიევის უნივერსიტეტში პროფ. ბუნგეს ხელმძღვანელობით, რომელიც დიდ ყურადღებას აქცევდა სტუდენტთა ქონებრივ მდგომარეობის გაუმჯობესობას და ამის ასრულებას აკისრებდა თვით საუნივერსიტეტო მთავრობას, რომელსაც ქალაქის თვითმართველობის დახმარებით უნდა გაეაფებინათ ბინისა და სადილის ფასები. პროფესორი ბუნგე ამაში ჰხედავდა გაჭირვებულ სტუდენტთა ხსნას, რადგან მაშინ არ არსებობდნენ „სტუდენტთა დამხმარებელი საზოგადოებები."

მე-19 საუკუნის განმავლობაში, ზემოაღნიშნულ 1872 წლის აღწერის გარდა, ყოფილა კიდევ სული ორი აღწერა: 1892 და 1893 წლებში მოსკოვის უნივერსიტეტში მოუწესრიგებია აღწერა არა ლეგალურ სათვისტომოების „საერთო ორგანიზაციას", ხოლო 1898 წელს ვარშავის უნივერსიტეტში შეუკრებია ცნობები სტუდენტს კოვალსკის.

მე-20 საუკუნის დასაწყისში სტუდენტთა მდგომარეობამ უფრო ძლიერ მიიპყრო საზოგადოების ყურადღება. ამ შვიდი წლის განმავლობაში, ე. ი. 1907 წლამდე, რუსეთის სხვა და სხვა ქალაქში მომხდარა ათზე მეტი აღწერა. პეტერბურგის სატეხნოლოგიო ინსტიტუტში, ცნობილ საზოგადო მოღვაწის ექიმ ნიკოლსკის ხელმძღვანელობით, გაიმართა ანკეტა, რომლის ფურცელიც შეიცავდა 140 კითხვას და ეხებოდა სტუდენტთა ქონებრივ, ზნეობრივ და სულიერ მხარეებს. 1901 წელს ტომსკის უნივერსიტეტში მოუხდენიათ აღწერა. 1904 წელს ხარკოვისა და იურიევის უნივერსიტეტებში და კვლავ პეტერბურგის ტეხნოლოგიურ ინსტიტუტში. 1905 წელს მოსკოვის ექიმთა საზოგადოებამ მოახდინა ანკეტა მოსკოველ უნივერსანტთა შორის სქესობრივ საკითხის გამოსარკვევად. 1907 წელს კვლავ გაიმართა ანკეტა მოსკოვისა და იურიევის უნივერსიტეტებში და სხვა...

ამ გვარად, თუ მხედველობაში მივიღებთ 1908 და 1909 წლების აღწერებს და აგრეთვე 1910 წლისათვის ზემოაღნიშნულ განზრახულ ანკეტებს, ნათლად დავინახავთ, რომ თვით ამ აღწერათა რიცხვის ზრდა საკმაოდ მჭერმეტყველობს ამ საქმის საჭიროებას და მნიშვნელობაზე.

პირველ წლების აღწერები, რომლებიც განსაკუთრებით სტუდენტთა ქონებრივ მდგომარეობას აქცევდნენ ყურადღებას, ძალიან საინტერესო ცნობებს იძლევიან მათ ქონებრივ მდგომარეობის დასასურათებლად. მაგალითად, 1872 წლის აღწერა შემდეგ ცნობებს გვაწვდის: 355 სტუდენტში 143 კაცს სულ არა მოსდიოდა რა თურმე სახლიდან; არა ჰქონია დახმარება არც უნივერსიტეტისაგან და არც სამზრუნველო კომიტეტისგან. ორმოცი სტუდენტი ადგილობრივი მცხოვრები ყოფილა, დანარჩენი 172 სტუდენტი კი შემდეგ დახმარებას იღებდა სახლიდან. მთელი წლის განმავლობაში მოსდიოდათ:

| | | |
|---|---|---|
| 25 მანეთამდე | 7 | სტუდენტი |
| 26 მ. — 50 მ. | 15 | " |
| 51 მ. —100 მ. | 31 | " |
| 101 მ. —150 მ. | 27 | " |
| 151 მ. —200 მ. | 26 | " |
| 201 მ. —251 მ. | 25 | " |
| 251 მ. —300 მ. | 20 | " |
| 300 მ. — მეტი | 21 | " |

რასაკვირველია, 25 მანეთი და 100 მანეთიც კი სტუდენტს არ ეყოფოდა მთელი წლის საცხოვრებლად, რის გამოც იგი იძულებული იყო გაკვეთილებისათვის მოეკიდა ხელი და, მართლაც, 355 სტუდენტში 141 სტუდენტი შოულობდა გაკვეთილებით:

| | | |
|---|---|---|
| 10 მანეთამდე თვეში | 62 | სტ. |
| 10 მ. — 15 მანეთამდე | 59 | " |
| 16 მ. — 20 მანეთამდე | 28 | " |
| 21 მ. — 25 მანეთამდე | 14 | " |
| 25 მანეთზე მეტს იღებდა თვეში | 8 | " |

მაგრამ ეს ერთად-ერთი წყარო ღატაკ სტუდენტობისა ძალიან ბევრ დროს ართმევდა მათ, ასე რომ ბევრ მათგანს გაკვეთილების გამო უნივერსიტეტთან არავითარი კავშირი აღარა ჰქონდათ. მაგალითად გაკვეთილებს ანდომებდნენ:

| | | |
|---|---|---|
| $1\frac{1}{2}$ საათს დღეში | 35 | სტ. |
| $2\frac{1}{2}$ საათს დღეში | 38 | " |
| $3\frac{1}{2}$ საათს დღეში | 54 | " |
| $4\frac{1}{2}$ საათს დღეში | 19 | " |
| $5\frac{1}{2}$ საათს დღეში | 19 | " |

1892 და 1893 წლების მოსკოვის აღწერაც უკეთესად არ გვიხატავს სტუდენტთა ქონებრივ მდგომარეობას. მაგალითად, 1892 წლის აღწერით 478 სტუდენტში 160 სტუდენტს, ე. ი. 39%-ს სულ არა მოსდიოდა რა სახლიდან. დანარჩენებს მოსდიოდა თვეში:

| | | |
|---|---|---|
| 19 მანეთამდე | 74 | სტ. |
| 20-29 " | 87 | " |
| 30-ზე მეტი " | 81 | " |

საინტერესო ცნობებს იძლევა აგრეთვე ვარშავის უნივერსიტეტში სტუდენტ კოვალევსკის მიერ 1898 წელს მოწყობილი ანკეტა, რომელიც შეეხებოდა სტუდენტთა შორის განსაკუთრებით ჯან-საღობის გამორკვევას. კოვალსკიმ 500 სტუდენტს დაუგზავნა ფურცლები და მხოლოდ 300 ცალი მიიღო ყურადღებით ნაპასუხავი. ამ 300 სტუდენტში მხოლოდ 27 სტუდენტი არასოდეს არა ყოფილა ავად, ე. ი. 9%. გულის სისუსტეს, ყელისა და ფილტვების ავადმყოფობას უჩიოდა 33%. კოვალსკი შეჰკითხებია აგრეთვე თვალების ავადმყოფობაზედაც და მიუღია შემდეგი ცნობები: 41% თურმე სათვალეებსა ხმარობს, ყოფილან ისეთები, რომელნიც სათვალეებს ატარებენ რვა, ცხრა და ათი წლიდან, უმეტესად კი 17-20 წლიდან, ე. ი., როცა ახალგაზრდობა საშუალო სასწავლებელს ათავებს. ამავე აღწერის ცნობებით, 300 სტუდენტში ნახევარზე მეტი (57%) ნერვების ავადმყოფობას უჩივის. 18 წლის ხანებში 40 პროც., 24 წლის ხანებში კი—66 პროც.

საყურადღებო ცნობებს იძლევა აგრეთვე მოსკოველ ექიმთა საზოგადოების მიერ მოხდენილი ანკეტა 1905 წელს სტუდენტთა შორის სქესობრივ საკითხის გამოსარკვევად. ამგვარივე კითხვები იურიევის სტუდენტთა შორისაც იყო გამორკვეული 1907 წლის აღწერით.

მოგვყავს ორივე ანკეტის ცნობები:

*) „Студенчество въ цыфрахъ", студ. М. Бенасика. Съ пред. проф. В. Б. Святловскаго.

**) „Студенческія переписи въ Россіи".

ჟინსკის დაათვალიეროს ყველა ის სახლები, სადაც ელექტრონის სადგურიდან ძალაა გაყვანილი, რათა გამოკვლეულ იქმნეს რამდენად შეასრულეს სახლის პატრონებმა ქალაქის გამგეობის მიერ შემუშავებული წესი ამ საგნის შესახებ.

**მუხრანის ხიდი.** მუხრანის ხიდის მოიჯრადრენი ხიდს უკვე ამთავრებენ. გაღმა-გამოღმა იმართება მისასვლელი ქუჩები, იგება იატაკი და სხვა. ხიდი ახლო მომავალში გაიხსნება სასიარულოდ.

**ოპერა სახალხოდ.** ორშაბთს, 28 დეკემბერს სახალხო სახლთან არსებული სამუსიკო საზოგადოება წარმოადგენს ოპერას „სევილიელ დალაქს“.

კავკასიის სომხთა საქველ-მოქმედო საზოგადოებამ დადგინა, მოლკოვში დაარსოს სახალხო ბიბლიოთეკა სამკითხველო.

პოლიციის მე-6 ნაწილში სენაკელმა გ. დურხამიამ განაცხადა, რომ ღამე მანთაშოვის ბაღში, კრწანისს თავს დამეცა სენაკისავე მცხოვრები გ. კაკულია, წამაქცია და ჯიბიდან 30 მან. ამომაცალაო. კაკულია შეიპყრეს.

ტფ. პოლიცმეისტარმა განკარგულება მოახდინა, რომ პოლიციელები შეუდგნენ ძებნას რაღაც დაკარგულ მოქალაქის ხერო ანდრიამოვისა. ანდრიამოვი 20 დეკემბერს სახლიდან გასულა და აღარ დაბრუნებულა.

# მოწერილი ამბები

**ხონი.** სამი წელიწადია, რაც ხონში დაარსდა ქალთა კერძო გიმნაზია ქ-ნ ოლიმპიადა მიქელაძის თაოსნობით. პირველ წელს გაიხსნა მხოლოდ მეხუთე კლასი, მეორე წელს მეექვსე და წრეულს, ენკენისთვეში კი, მეშვიდე. ამ სასწავლებელში შედიან და აგრძელებენ სწავლას უმთავრესად ხონის მარიამის სასწავლებელში კურს დასრულებულნი. ადგილობრივმა მარიამის სასწავლებლმა ბ-ნ ივ. მარგაშვილის მეცადინეობით მოიპოვა ყოველივე ის უფლება, რომელიც საზოგადოდ ქალთა პროგიმნაზიებსა აქვთ. ასე რომ აქ კურს დასრულებულ მოწაფეს თავისუფლად შეუძლიან უგამოცდოდ ქალთა გიმნაზიის მეხუთე კლასში შესვლა. ბევრი მოწაფე ათავებდა რა მარიამის სასწავლებელს, ღარიბობისა გამო მთლად ანებებდა სწავლას თავს. ეხლა კი აქ არსებულ ქალთა კერძო გიმნაზიის წყალობით, უმეტესი ნაწილი მარიამის სასწავლებელში სწავლა დასრულებულ მოწაფეებისა, აგრძელებს სწავლას ამ კერძო გიმნაზიაში. ამ ჟამად ამ სასწავლებლის ყველა კლასში 50-მდე მოწაფე ითვლება.

სამწუხაროდ, ეხლა ამ სასწავლებელს ცუდი აზრდილი წამოადგა თავს და დახურვას უქადის, თუ მხნე ზომები არ იქმნა მიღებული.

აი, საქმის ვითარება, ამ სასწავლებელში მასწავლებლობენ სემინარიისა და პროგიმნაზიის მასწავლებლები. ესენი ჯამაგირს სწავლის ფულიდან იღებდენ. წინად მოწაფეებს სწავლის ფასი დროზე შეჰქონდათ და პედაგოგიური საბჭო მასწავლებლებსაც პირანად აძლევდა ჯამაგირს. ეხლა კი მოწაფეთა თრ წილს სწავლის ფასი არა აქვს შეტანილი და პედაგოგიური საბჭოც ვერ აძლევს ჯამაგირს პირანად მასწავლებლებს. მოწაფეებს სწავლის ფასაკი იმიტომ არ შეაქვთ, რომ ხმა გავრცელდა—უსახსრობის გამო სასწავლებელი იხურებაო. ამ ხმას მიაქციეს ყურადღება მოწაფეთა მშობლებმა და სასწავლებლის დახურვის შიშით ფული აღარ შეიტანეს. გაიძახოდნენ და დღესაც გაიძახიან, სასწავლებელი დაიხურება ტყუილად და ფული რისთვის უნდა დავკარგოთო. სასურველია, პედაგოგიურმა საბჭომ მოიწვიოს მშობელთა კრება და გააცნოს მას საქმის ვითარება. დარწმუნებული ვარ, გაიგებენ რა საქმის ვითარებას, მშობლები დაუყოვნებლივ შეიტანენ სწავლის ფულს და მით იხსნიან გიმნაზიას დახურვისაგან.

13 დეკემბერს ადგილობრივ სამოქალაქო სასწავლებელში გაიმართა სალიტერატურო დილა პოეტის კოლცოვის სახსოვრად. ოქტომბრის 3-ს შესრულდა ასი წელიწადი, რაც კოლცოვი დაიბადა. მღ. პ. ცხვარიშვილმა დამსწრე მოწაფეებს გააცნო მოკლედ კოლცოვის მნიშვნელობა. მეექვსე კლასის მოწაფემ შელქ ძემ წაიკითხა კოლცოვის ბიოგრაფია. მოწაფეებმა წაიკითხეს აგრეთვე კოლცოვის ლექსები. იყო სიმღერაც. **ვინმე ქართველი.**

---

**თელავი.** თვეში ერთხელ იკრიბებიან ქალაქის მამანი მიმდინარე საქმის განსახილველად. მხოლოდ თვეში ერთხელ მოაგონდებათ, რომ მათ ნაგისრი აქვთ მეტად მძიმე საქმე—ქალაქის მოვლა-პატრონობა. მოაგონდებათ-კი, მაგრამ რამდენად ზრუნავენ იმას კეთილდღეობაზე და როგორის ადგილით ხელმძღვანელობენ საზოგადო საკითხების გადაწყვეტაში, ამას ნათლად დაინახავს მკითხველი შემდეგ მაგალითიდან.

8 დეკემბრის სხდომაზე, რომელზედაც პირველად თავმჯდომარეობდა ახლად დამტკიცებული მოურავი ბ-ნი თათუზოვი მოხსენდათ სამოქალაქო სასწავლებლის უფროსის თხოვნა გზის შეკეთების შესახებ. ეს სასწავლებელი მდებარეობს ქალაქის განაპირას, ეგრედ წოდებულ „კურდღელაურის დაბაში“. იმის მახლობლადაა აგრეთვე თითქმის ყველა სახელმწიფო დაწესებულება. აქეთკენ მიმავალი გზა მეტად საჭიროებს შეკეთებას. თიხიანი ნიადაგი ავდარში იზილება და არა თუ პატარა მოსწავლენი დაიარებიან დიდის წვალებით, არამედ დიდებსაც ეძნელებათ სიარული. აი, ამ გზის შეკეთებას სთხოვდა სასწავლებლის უფროსი და, რასაკვირველია, ამაზე უარს ვერავისაგან მოველოდით, მაგრამ აღმოჩნდნენ ისეთნი, რომელთაც თამამად უარი გამოაცხადეს, კურდღელაურის ნაწილშია და ჩვენ რა გვესაქმებაო. ის-კი დაავიწყდათ ქალაქის მამებს, რომ ამ გზით მარტოდ მარტო მათი შვილები დაიარებიან და იმ დაწესებულებებშიაც მომეტებულ ნაწილად მოქალაქეთ უხდებათ სიარული. როგორც იყო, დიდი სჯა-ბაასის შემდეგ ხმის უმეტესობით გადაწყდა გზის შეკეთება და ისიც იმის შემდეგ, როცა მოურავმა მოახსენა, სახალხო სკოლების ინსპექტორმაც, თელავში ყოფნის დროს, მთხოვა და უარის თქმა მოუხერხებელიაო.

ამ სადამოთი, სხვათა შორის, განიხილეს ხმოსან პაატაშვილის მოხსენება კახეთის რკინის გზის სადგურის ქალაქის ახლოს აშენების შესახებ. რკინის გზის სადგური ეხლა დაგეგმილია თელავიდან $4^{1}/_{2}$ ვერის სიშორეზე სოფ. კურდღელაურის გვერდზე. გზის გამოკვლევის დროს ქალაქის წარმომადგენლეთ უნახავთ გზის გამომკვლევლეთა უფროსი ინჟენერი რომელსაც რჩევა მიუცია, დასაბუთებული თხოვნა მიეცით თავაზნაურობას და შეიძლება სადგური მოახლოვებით იყოს გადმოტანილიო. სიღნაღმა თავის დროზე აღძრა შუამდგომლობა, ფულიც-კი (2000 მან.) გადასდო ახალ გამოკვლევისათვის, ხოლო თელავს ჯერ ხმა არ ამოუღია. თუ სადგური ქალაქის ახლო არ აშენდა, მაშინ კახეთის რკინის გზას თელავისათვის ყოველივე მნიშვნელობა ექნება დაკარგული, რადგანაც აქ მხოლოდ უკანასკნელი სადგური შენდება, ტფილისიდან 200 ვერსით დაშორებული, ძრიელ მოუხერხებელი იქნება, როგორც მგზავრობისათვის, ისე ტვირთვისათვის, და ბევრი ისევ გომბორის გზას იმჯობინებს და სხვა და სხვ.

ქალაქის გამგეობას ასეთ დიდ—მნიშვნელოვან საკითხისათვის არც თავის დროზე, არც შემდეგ ყურადღება არ მიუქცევია და თუმცა ზემოაღნიშნული მოხსენებაც 28 სექტემბერს მიუღიათ, მაგრამ მხოლოდ ამ სადამოთი დაენიშნათ განსახილველად. ერთხმად გადასწყვიტეს, აღიძრას შუამდგომლობა ტფ. გუბ. თავ.-აზნაურთ წინაშე, რათა კახეთის რკინის გზის სადგური, რაც შეიძლება, თელავზე დაახლოვებით იქმნას აშენებული. **დაპიწყებული.**

# რუსეთი და იაპონია

**გენ. კუროპატკინი.**

როგორც ისმის, გენ. კუროპატკინს ახალ დიდ თანამდებობას აძლევენ. იგი დაინიშნება ციმბირსა და შორეულ-აღმოსავლეთის ჯარის მთავარ-სარდლად („ნ.“)

**იაპონიის ახალი ხაზხი.**

ინგლისურ გაზეთებს ატყობინებენ ტოკიოდან: იაპონიის მთავრობამ პარლამენტს წარუდგინა კანონპროექტი, რომლის თანახმად იაპონიამ გარეშე სესხი უნდა აიღოს ახალ რკინის გზების ასაშენებლად მანჯურიისა და კორეაში.

**რუსეთ-ამერიკის შეთანხმება.**

ამბობენ, ბოლოს დროს რუსეთი ძლიერა ცდილობს ამერიკასთან დამეგობრებას. ამ ჟამად რუსეთსა და ამერიკას შორის მოლაპარაკება გამართულია სხვა და სხვა საქმეებზე. ამერიკა თხოულობს, რომ რუსეთმა მის კაპიტალისტებს გააყვანინოს ციმბირის რკინის გზის მეორე ლიანდაგი და ამასთანავე ხელი შეუწყოს, რომ ჩინეთმა ამერიკელებსვე მისცეს ციციკარ-კინჩოუს რკინის გზის გაყვანის კონცესია (ციციკარი ჩრდილოეთ მანჯურიაშია, ხოლო კინჩოუ პეჩილის ყურეს ნაპირზე), ამბობენ, რომ პეტერბურგში თანაგრძნობით შეხვდნენ ამ წინადადებას. თუ რუსეთი და ამერიკა მოახერხებენ შეთანხმებას, მაშინ ძირიანად შეიცვლება საქმეთა ვითარება შორეულ აღმოსავლეთში. რუსებს იმედი აქვთ, რომ ეს შეთანხმება ხელს შეუწყობს ამერიკისა და ევროპის ვაჭრობის აუვაგებას მანჯურიაში და ბოლოს მოუღებს იაპონიის ძალ-მომრეობას. იაპონია ამ შემთხვევაში იძულებული იქნება კორეის დაჭერას-და დასჯერდეს. ამიტომ იგი უთუოდ დონისძიებას ხმარობს, რომ ჩინეთს უარი ათქმევინოს ციციკარ-კანჩოუს რკინის-გზის გაყვანაზე და რუსეთ-ამერიკის შეთანხმება როგორმე ჩაშალოს. ამბობენ, სწორედ ამ შეთანხმების ჩამშლელად იყო მოსული ხარბინში განსვენებული იტო. („რ. ს.“)

# სასამართლო

**პოლიტიკური საქმე.**

გუშინ, 23 დეკემბერს, კავკასის სამხედრო ოლქის სასამართლომ ხალხის დაუსწრებლად განიხილა საქმე „ისრის“ რედაქტორად ნამყოფის ესტატე ავალიშვილისა, რომელსაც ჰბრალდებოდა საქ. სოც. ფედრალისტთა სარევოლიუციო პარტიის წევრობა და არა ლეგალურ წიგნების გამოცემა. ბრალდებულს იცავდნენ ნაფიცი ვექილები ი. ბარათაშვილი და გ. ვაზავა. სამხედრო სასამართლომ ესტატე ავალიშვილი დამნაშავედ იცნო მხოლოდ არა ლეგალურ ლიტერატურის შენახვაში და სასჯელთა დებულების მე-132 მუხლის ძალით მიუსაჯა ერთი წლით დაპატიმრება.

**მკვლელობა გორში.**

1907 წელს 12 მარიამობისთვეს გორის სადგურის ნაწილში, რომელიც სოფ. ხიდისთავს ეკუთნის, დადიოდნენ თურმე ხიდისთავის მამასახლისი და მისი მწერალი ვასილ ჯვარიძე და სამიკიტნოებში ღვინის პურმელს სინჯავდნენ. ეს გაუგიათ სადგურზე მყოფთ გორის ბოქაულის თანაშემწეთ გიორგი ზედგინიძეს და ემელიან ვოდას, რომელთაც მაშინვე წაუყვანიათ იქვე მყოფი სტრაჟნიკი ლავრენტი კახოკიძე და წასულან სამიკიტნოში, სადაც მართლა უნახავად მამასახლისი და მწერალი. ვოდას უთქვამს, რის ძალით დადიხართ აქა და ვინა ხართო. მწერალს უთქვამს ეს ნაწილი ჩვენ გვეკუთვნის და პოლიციიმეისტრის ბრძანებას ვასრულებთო, თანაც უჩვენებია ქაღალდი, ვოდას ასეთი პასუხი საწყენად უცვნია და ისე გაურტყამს, რომ იგი ძირს დაცემულა და თავი გასტეხია. მერე უბრძანებია სტრაჟნიკისთვის, გაათრიეთ გარეთაო. იქაც ძალზე უცემიათ ჯვარიძისთვის. ვოდას რამდენჯერმე წიხლი ჩაურტყავს მუცელში ჯვარიძისთვის, რისგანაც მას შიგნეულობა გაჰპუტებია და იმ ღამესვე მომკვდარა.

ეს საქმე 22 ქრისტეშობისთვეს ტფ. ოლქის სასამართლოს სესიამ გაარჩია გორში. დამნაშავეს სკამზე ისხდნენ გიორგი ზედგინიძე და ლავრენტი კახოკიძე. ხოემელიან ვოდა გაგიჟებულა და ტფ. საგიჟეთში მომკვდარა. გიორგი ზედგინიძეს ლამბაროვი იცავდა.

სასამართლომ გიორგი ზედგინიძე უდანაშაულოდ იცნო და გაამართლა, ხოლო კახოკიძეს ორი თვით დაპატიმრება გადაუწყვიტა.

**წინააღმდეგობა.**

22 ქრისტეშობისთვეს ტფ. ოლქის სასამართლოს სესიამ გორში გაარჩია გლახა ჯეირანაშვილის საქმე. ამ ჯეირანაშვილმა მარიამობისთვის პირველ რიცხვებში სასამართლოს ბოქაულს ჯავროვს, როგორც ოქმშია აღნიშნული, ნება არ მისცა აღსრულებაში მოეყვანა გორის სასამართლოს დადგენილება და არ დაანგრევინა სახლი. ჯეირანაშვილი ჯავროვს აგინებდა, რევოლვერით ემუქროდა, რის გამოც ჯავროვი უკან დაბრუნდა.

სასამართლომ ჯეირანაშვილი დამნაშავედ იცნო და ერთი წლით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა გადაუწყვიტა.

# სპარსეთის ამბები

**ეფრემის ლაჯილდოვება.**

რახიმ-ხანის დამარცხებისთვის ეფრემს უბოძეს სარტიპობა (სარტიპი—გენერალ-ადიუტანტია). („კ.“)

**სპარსელ რეაქციონერებს მეცადინეობა.**

სპარსეთის რეაქციის სულის ჩამდგმელნი, მამედ-ალი-შაჰის ტახტიდან ჩამოგდების შემდეგ, პარიზში დასახლდნენ და როგორც ისმის, იქიდან ბეჯით აგიტაციას ეწევიან ახალ მთავრობის წინააღმდეგ, ხმა დადის, რომ მთელი არეულობა და შახსევენების აჯანყება, სულ ამ რეაქციონერების უნარიაო. ისინი დიდ ფულს უგზავნიან რახიმ-ხანსა და შახსევენებს.

# ოსმალეთი

**ხ-ლმი-ფაშას სამინისტროს გადადგომა.**

დეპეშებიდან ვიცით, რომ ხილმი-ფაშას სამინისტრო სამსახურიდან გადადგა და ახალ დიდ ვეზირად დაინიშნა ხაკი-ბეი.

უმთავრესი მიზეზი ამ გადადგომისა არის, [illegible] ხილმი-ფაშასა და ახალგაზრდა ოსმალთა პარტიასთან ლინჩის კონცესიისა და კრიტეს საქმის თაობაზე.

ლინჩის საზოგადოების კონცესიის საქმე ამნაირია: ნავოსნობა მდინარე ტიგროსსა და ეფრატზე—ორ საზოგადოების ხელში იყო: ინგლისელ ლინჩის საზოგადოებისა, რომელსაც კონცესია აუღია ჯერ კიდევ 1834 წელს, და ერთის ოსმალურის საზოგადოებისა, ვერც ერთმა საზოგადოებამ ვერ მოაწყო თურმე კარგად საქმე; ლინჩის საზოგადოებას მხოლოდ ორი გემი ჰქონია, ოსმალურსაც—ამდენი, წელს ეს ორი საზოგადოება შეერთდა ერთ საზოგადოებად, და ხილმი-ფაშას სამინისტრომ ამ ახლად დაარსებულ საზოგადოებას მისცა ახალი კონცესია მდინარე ტიგროსზე და ეფრატზე ნავოსნობისა, მხოლოდ იმ პირობით, რომ ამ კონცესიას „ოსმალური ხასიათი“ მიეცეს, ესე იგი, გემებზე ოსმალეთის ბაირაღი იყოს გაშლილი და არა ინგლისისა და სხვა. ამ კონცესიამ დიდი აურზაური ასტეხა ოსმალეთში, ერთის მხრივ იმიტომ, რომ კონცესიის მიცემა ბევრმა ჩასთვალა ინგლისის გავლენის გაძლიერებად ოსმალეთის სამფლობელოში, მეორე მხრით იმიტომ, რომ პარლამენტი იმ თავითვე მოითხოვდა, რომ კონცესიების მიცემა და საზოგადოდ ყოველნაირ საფინანსო საქმეების გარიგება სამინისტროს არ შეეძლოს პარლამენტის დაუკითხავადაო. ამ რამდენიმე კვირის წინად პარლამენტში დეპუტატები შეეკითხნენ ხილმი-ფაშას ამ საქმის თაობაზე და მაშინვე მოელოდნენ ხილმი-ფაშას სამსახურიდან გადადგომას, მაგრამ მისმა განმარტებამ დააკმაყოფილა დეპუტატთა უმეტესობა და პალატამ მაშინ ნდობა გამოუცხადა ხილმი-ფაშას. ახალგაზრდა ოსმალთა პარტია მაინც არ დამშვიდდა და ახში ბოლო მოუღო ხილმი-ფაშასა და მის სამინისტროს.

ამ ბრძოლაში ბეჯით მონაწილეობას იღებდა ინგლისისა და გერმანიის დიპლომატიაც. ინგლისის ელჩი მხარს უჭერდა ხილმი-ფაშას, ხოლო გერმანიის ელჩი მის წინააღმდეგ მოქმედებდა. რამდენიმე კვირის წინად, პირველ შეკითხვის დროს, ინგლისის დიპლომატიამ აჯობა გერმანიისას, ხოლო გერმანიის დიპლომატიამ არ შეჰამა ეს ჯავრი და ბოლოს თავისი გაიყვანა.

ხილმი-ფაშას მოადგილე—ახალი დიდი ვეზირი ხაკი-ბეი, რომელიც აქამდე ოსმალეთის ელჩად იყო რომში, დიდად განათლებული კაცია. იგი დიდ ხანს კითხულობდა ლექციებს სტამბოლის უმაღლეს იურიდიულ სასწავლებელში; ახალგაზრდა ოსმალთა წრეები დიდი პატივსა სცემენ ახალ დიდ ვეზირს. („რ. ვ.“)

# საქონლის ჭირის აცრა

(წერილი ზურნაბადიდან)

იქნება ბევრს გაგონილი არც კი ჰქონდეს ზურნაბადი. ზურნაბადი სომხების სოფელია და განჯიდან ოცვერსზე მდებარეობს. ამ სოფლის მახლობლად არის საქონლის შავ ჭირთან მებრძოლი სადგური противочумная станція ამისთანა სადგური მთელ რუსეთში ორია—ერთი აქ და მეორეც ციმბირში,

როგორც ვიცით, საქონლის შავი ჭირი მუსრს ავლებს საქონელს. ამ ჭირთან შეუძლებელი იყო ბრძოლა იმდრომდე, სანამ არ გამოიგონებდნენ ამ ჭირის ჩირქით საქონლის აცრას. ამ ჭირის საწინააღმდეგო ჩირქს (сыворотка). აქ, ზურნაბადში, ამზადებენ და აქედან ასაცრელად უგზავნიან მთელ კავკასიას და რუსეთს (გარდა ციმბირისა). ზურნაბადის შენახვა მთავრობას ნახევარ მილიონამდე უჯდება წელიწადში, მაგრამ სამაგიეროდ, რამდენიმე მილიონად ღირებული საქონელი რჩება.

ზურნაბადის სადგურს აუარებელი ხარი ჰყავს, ზოხბა, ლონიერი, შნოი-

---

| | მოსკ. | იურ. |
|---|---|---|
| სქესობრივ ერთი-ერთობისაგან თავი შეუკავებია | 355 სტ. | 370 სტ. |
| ერთი-ერთობა ჰქონია უშედეგოდ . . . | 520 „ | 867 „ |
| ავად გამხ. ვენერ. სენით | 335 „ | 543 „ |

ამავე აღწერის ცნობებით ვენერიული ავადმყოფობის შედეგები:

| | იურიევში: | მოსკოვში. |
|---|---|---|
| სიფილისით | 30 (2,4 პროც.) | 57 (26 პროც.) |
| შანკრით | 58 (4,8 პ.) | 65 (3,0 პ.) |
| ტრიპერით | 247 (20,5 პ.) | 421 (19,6 პ.) |

„ამ სამწუხარო მდგომარეობის მოსასპობლად—ამბობს მოსკოვის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი ბ. ხლენოვი,—საჭიროა არა მარტო ოჯახისა და სკოლის რეფორმები, არამედ საერთოდ რუსეთის ცხოვრების პირობების შეცვლაც—საერთო რეფორმები,—ვინაიდან სტუდენტობა განუყრელად მისდევს მთელ საზოგადოებას, რომლის განუყოფელ ნაწილსაც იგი შეადგენს“.

მეტად საინტერესო ცნობებს იძლევა 1907 წელს მოწყობილი ანკეტა იურიევის უნივერსიტეტისა. ამ საანკეტო ფურცელში, სხვათა შორის, დიდი ადგილი ჰქონდათ დათმობილი სტუდენტთა პარტიულ შეხედულობის და მათ სულიერ მხარის გამორკვევას. სტუდენტობა, ამ აღწერით, ასე ყოფილა დაყოფილი: მემარცხენენი შეადგენენ 66,39%, ცენტრი (კადეტები) 11,47%, მემარჯვენენი — 16,55%. სტუდენტობის პარტიული დაყოფა ეროვნების მიხედვით ამგვარად გამოხატულია: გერმანელები ყველაზე ნაკლებად იძლევიან მემარცხენეებს—37,04%, ლიტველები—50%, ბელორუსები—52,94%, პოლონელები—57,14%, ლატიშები—65,39%, ესტონელები — 69,78%, რუსები (ველიკორუსების გარდა აქ უკრაინელებიც შედიან)—72,67%, ებრაელები—77,66%, „კავკასიელები“—88,23%. რაც შეეხება მემარჯვენეთა პროცენტს გერმანელები ყველაზე მეტ პროცენტს იძლევიან—43,44%, ლიტველები 25%, პოლონელები—22,85%, რუსები—13,50% და მხოლოდ კავკასიელ სტუდენტთა შორის არ მოიპოვება არც ერთი მემარჯვენე.

ანკეტაში ნაჩვენებია 100 სოციალდემოკრატზე რამდენი სოც-რევოლიუციონერი მოდის რუსეთის სხვა და-სხვა კუთხიდან. 100 სოციალ-დემოკრატზე მოდის:

| | ს.-რევოლიუციონერ ; |
|---|---|
| კავკასიიდან . . . . | 6,67 „ |
| ბელორ. და ლიტვიდან . | 9,30 „ |
| ბალტიის მხრიდან . . | 19,61 „ |
| პოლონეთიდან. . . . | 20,00 „ |
| სამხრეთ გუბერ. . . . | 42,31 „ |
| ცენტრალურ რუს. . . | 52,02 „ |
| ფინლიანდიიდან . . . | 66,68 „ |
| სამხრეთიდან და შავი ზღვის ნაპირ. . . . | 72,97 „ |
| აღმოსავლეთ რუსეთიდან. | 182,42 „ |

ამ ფაქტს იმითი ხსნის სტუდ. ბენასიკი, რომ საცა უფრო განვითარებულია კაპიტალიზმი და ქალაქის ცხოვრება იქ უფრო სოც.-დემოკრატები სჭარბობენო. შუა-გულ რუსეთიდან და აღმოსავლეთ რუსეთიდან-კი, სადაც არ არის განვითარებული კაპიტალიზმი და ქალაქები, სოც.-რევოლიუციონერები სჭარბობენო. მაგრამ ეს განმარტება შემდეგ მაგალითებს არ ეთანხმება ფინლიანდია 66,68%, სოციალისტ-რევოლიუციონერს იძლევა, თუმცა იქაური კაპიტალიზმი ძნელად თუ ჩამოუვარდება რუსეთის სხვა კუთხეების კაპიტალიზმს. პოლონეთი უფრო კაპიტალისტურია, ვიდრე კავკასია, მაგრამ პირველი უფრო მეტ ს.-რევ. იძლევა, ვიდრე მეორე. კავკასიელ სტუდენტობაზე კიდევ უნდა ვსთქვათ: თუმცა სომხის ახალგაზრდობა ქართველებთან შედარებით უფრო მეტად განიცდის ქალაქობრივ ცხოვრების და კაპიტალიზმის გავლენას, მაგრამ სოციალ-დემოკრატთა პროცენტი ქართველ სტუდენტობისა ძალიან გადააჭარბებს სომეხ სტუდენტთა სოც.-დემოკრატების ნაწილს, რასაც ნათლად დაგვანახვებს მომავალ ანკეტის შედეგები. *)

პარტიული დანაწილება სტუდენტთა ქონებრივ მდგომარეობის მიხედვით ამგვარს შედეგებს იძლევა: ღარიბი სტუდენტობა (რომელსაც თვეში 20 მანეთამდე მოსდის) იძლევა მემარცხენეებს—66,26, კადეტებს 10,67, მემარჯვენეებს—8,53. საშუალო ქონების სტუდენტობა (რომელიც 20 მან.-30 მანეთამდე იღებს): მემარცხენეებს იძლევა—64,49, კადეტებს—10,5%; შეძლებული ნაწილი (რომელიც 30 მანეთზე მეტ იღებს თვეში) მემარცხენეებს—50,47%,—კადეტებს—15,89% მემარჯვენეებს—24,30%.

სარწმუნოებრივი მხარეც გამოურკვევიათ ამ ანკეტის საშუალებით. მაგალითად, არა სწამს თავიანთი ოფიციალური სარწმუნოება:

| | |
|---|---|
| მართლმადიდებელთა შორის | 54,5%. |
| კათოლიკეთა შორის. . . | 63,9%. |
| ებრაელთა შორის. . . . | 86,8%. |

გამოურკვევიათ აგრეთვე ისიც, თუ რომელი პარტიის სტუდენტობა რამდენ ხანს ყოფილა დაპატიმრებული. თითეულ სტუდენტზე მოდის:

| | |
|---|---|
| ანარქისტზე . . . | 12 დღეზე მეტი. |
| სოც.-რევ. და ტრუდ. | 15 დღეზე მეტი, |
| სოც.-დემოკრატზე . | 15 დღეზე მეტი. |
| კადეტზე . . . . | 5 ს. და 6 წ. |
| მირნო-ობნოვლენცზე | 1 ნახევ. დღ. |

მემარჯვენენი და ოქტომბრისტები სულ არა ყოფილან დაპატიმრებული.

ქართველ სტუდენტობასაც მოუხდენია აღწერა წინა წლებში. ჩვენ მხოლოდ ორი მაგალითი ვიცით ამგვარ აღწერისა. 1896 წელს პეტერბურგის ქართველ სტუდენტობას მოუხდენია აღწერა, რომლის შედეგებიც დაუბეჭდიათ გაზეთ „ივერია“-ში. როგორც გადმოგვცეს ამ საქმის მცოდნე პირებმა, ეს წერილი 1896 ან 1897 წლის ნომრებში უნდა იყოს დაბეჭდილი. რასაკვირველია, ძალიან საინტერესო იქნებოდა ამ ცნობების მოყვანაც, მაგრამ დროს უქონლობის გამო ვერ შევძელ მისი მოძებნა. 1899 წ. კვლავ მოუხდენია პეტერბურგის სტუდენტობას ქართველ სტუდენტთა აღწერა. ინიციატორებს დაუგზავნიათ ხელთნაწერი ბლანკები რუსეთის თითქმის ყველა ქალაქში (სადაც ქართველი სტუდენტობა ეგულებოდათ) და ოთხასამდე პასუხი მიუღიათ. ეს მასალა გადაუსინჯიათ და შეუმუშავებიათ კიდეც, მაგრამ, საუბედუროდ, ჩხრეკის დროს პოლიციას წაუღია.

შემდეგ წერილში დავბეჭდავთ 1910 წლისათვის განზრახულ ანკეტის გეგმასაც.

**წვეთი.**

*) წარსულ ზამთარში ჩვენ მდუწდდეთ პეტერბურგის უნივერსიტეტის სომეხ სტუდენტებს, რომ მათაც მოეხდინათ აღწერა მთელ სომეხ სტუდენტთა შორის, რაზედაც მათ დიდი სურვილი განაცხადეს.

ანი. ყველა ხარს თავისი ნომერი აწერია. ამოარჩევენ რამდენსამე ათეულ ხარს განაცალკევებენ (ცალკე სადგომში შერეკავენ) და შეჰყრიან შავ ჯირს. როცა ჭირი ძალიან დაუვლის, ამ ხარის სისხლს აიღებენ, ხარს კი დაჰკლავენ, ხოლო ხორცს მიწაში ჩაჰფლავენ. აღებული სისხლი ჩადედდება და თავზე ლორწოს მოიგდებს. ამ ლორწოს აიღებენ და სხვა ხარებს, რომელნიც ცალკე ჰყავთ გადარჩეული, მუცელზე, კან ქვეშ შეუშხაპუნებენ. ეს ხარები ავად დახდებიან-სიცხეს მისცემთ. ყველა ხარის ნუმერი ჩაწერილი აქვთ. იწერება აგრეთვე ყოველი ხარის სიცხის აწევ-დაწევა. ხარის სისხლი თითონვე შეიმუშავებს ამ ჭირთან საბრძოლველ ძალას. ხარი დაიწყებს მორჩენას. მაშინ ხარს გამოიყვანენ და სისხლს აიღებენ.

სისხლს ამ ნაირად იღებენ. მუცელზე ხარს არტახს ამოსდებენ, ასწევენ, ხარი ჩამოეკიდება შემდეგ თავს ბოძს მიუკრავენ. როცა ხარი ასეა დამზადებული, მაშინ აიღებენ რეზინის მილს, რომელიც წამოცმულია წამწვეტებულ ლითონის მილზე, ამ წვეტს წაურჭობენ ხარს კისერში, ყურის ძირას, სისხლი თქრიალით წამოვა მილიდან, შეუდგამენ ქიქის ქილებს და აავსებენ. როცა საკმაო სისხლს გამოუშვებენ, ხარს ჩამოხსნიან და გაუშვებენ. სამი-ოთხი კვირის შემდეგ ხარი დაკარგულ სისხლს შეივსებს, ხარს კიდევ შეუშხაპუნებენ ლორწოს, კიდევ აიღებენ სისხლს, ისე რომ თითო ხარიდან 15—16 ჯერ იღებენ წელიწადში სისხლს.

აღებული სისხლი ჩადედდება, თავზე ლორწოს მოიგდებს და ამ ლორწოს ხმარობენ ასაცრელად. ამგვარად, ხარი თითონვე უმზადებს წამალს თავის მოძმეებს.

ზურნაბადის სადგური ძალიან მშვენიერად არის მოწყობილი. არის საუკეთესო შენობები როგორც მოსამსახურეებიისთვის, ისე საქონლისათვის (სისხლის ასაღებად განმზადებულ ხარს ცალკე ბინა აქვს) ელექტრონის სინათლე, მდიდარი ლაბარატორიები, შესანიშნავი მიკროსკოპები (თითო მიკროსკოპი 500-1000 მან. ღირს), კოლლექციები, კარტოგრამები და სხვა.

**ვიორგი.**

# რუსეთი

**ქალების ჩივილი.** კერჩის ქალებს ადგილობრივ გრადონაჩალნიკისთვის შემდეგი პეტიცია მიურთმევიათ: უკანასკნელ დროს ქ. კერჩის სასტუმროების და რესტორანების პატრონებმა თავიანთი სასტუმროები მომღერალ და მოცეკვავე ქალებით აავსეს. ეს ქალები დღე და ღამ კაცებთან ქეიფობენ, სასტუმროების ახლო გავლა აღარ შეიძლება. ამას გარდა ჩვენი ქმრები, მამები და ძმები დღე-ღამეს რესტორანებში ატარებენ და სახლს უპატრონოდ სტოვებენ. მომღერალი და მოცეკვავე ქალები მათ ხელს უწყობენ, აღიზიანებენ. ჩვენ პროტესტს ვაცხადებთ რესტორანების და სასტუმროების პატრონების წინააღმდეგ და ვთხოვულობთ, რომ მიღებულ იყოს ზომები მათ წინააღმდეგ. თუ რესტორანებიდან და სასტუმროებიდან მომღერალი ქალები არ განიდევნენ ბევრი ისედაც დაღუპული ოჯახი საბოლოოდ დაიღუპება!!

**აზეფის ცოლი.** სატახტო ქალაქის გაზეთების სიტყვით პარიზში თავი მოუწამლია და მალე გარდაცვლილა აზეფის ცოლი, ქ-ნი მიკინა. ქ-ნი მიკინა კარგა ხანია რუსეთში არა ყოფილა, გულ-წრფელი რევოლიუციონერი იყო და როდესაც გაიგო თავის ქმრის პროვოკატორობა ლოგინად ჩავარდა. ამბობენ, სწორედ ეს იყო მიზეზი, რომ ქ-ნმა მიკინამ თავი მოიწამლაო.

**რკინის გზების რევიზია.** მთავრობას უკვე გადაუწყვეტია რევიზია გაუკეთოს ყველა რკინის გზებს. „გოლ. მოსკ." სიტყვით რევიზორად დანიშნავენ სენატორ გარინს.

**სიკვდილით დასჯა.** სიკვდილით დასჯა გადაწყვეტილი აქვთ: ხარკოვში 1, პეტერბურგში 3, უფაში 1, სარატოვში 2, ოდესაში 1, მოსკოვში 1, ვარშავაში 2 კაცს; სიკვდილით დასაჯეს: კრემენჩუგში 1, ნოვოროსიისკში 1, ოდესაში 1, სარატოვში 2, ეკატერინოსლავში 3 კაცი.

**ბრძანებზ.** „კასპს" პეტერბურგიდან დეპეშით ატყობინებენ: შინაგან საქმეთა მინისტრმა გუბერნატორებს ბ ძანება დაუგზავნა, მიიღეო ყოველ-ნაირი ზომები, რომ 9 იანვარს არეულობები არ მოხდესო როგორც ვიცით 1905 წელს, 9 იანვარს პეტერბურგის მუშები გაპონის მეთაურობით სასახლესაკენ გაემგზავრნენ. მიუახლოვდნენ თუ არა მუშები სასახლის სალდათებმა თოფი დაუშინეს და ბევრი მუშა გამოასალმეს წუთი-სოფელს.

**გადასახლებულებ შორის.** „რეჩ"-ს ენისეისკიდან ატყობინებენ: ადგილობრივ გუბერნატორის განკარგულებით პოლიტიკურ გადასახლებულებს აეკრძალათ რეპეტიტორობა. გადასახლებულები ისედაც გაჭირვებულები არიან, ბევრი მათგანი შიმშილით კვდება და ეს ხომ უფრო ბოლოს მოუღებს მათ.

**დამცველ პოლიციების გაუქმება.** სახელმწიფო სათათბიროს ოქტომბრისტების ფრაქციას გადაუწყვეტია შეიმუშავოს კანონ პროექტი, რომლითაც უნდა გაუქმდნენ დამცველი პოლიციები და მისი ფუნქციები პოლიციის დეპარტამენტს უნდა გადაეცეს. ამას გარდა პოლიციის სრული რეორგანიზაცია უნდა მოხდეს.

## წერილი რედ. მიმართ

მეტეხის ციხის წიგნთ-საცავ-სამკითხველოსთვის მივიღე ბ-ნ ვასილ რცხილაძისაგან 10 ცალი ქართული წიგნი; „სახალხო გაზეთის" რედაქტორისაგან 5 ც. წიგნი და ერთი ცალი „ხალხური ლექსები და სიმღერები" ი. კარგარეთლისაგან მეტეხის ციხის სკოლისათვის, რისთვისაც ულრმეს მადლობას ვწირავ ზემოხსენებულ პირთ.

ძრიერ საჭიროებას შეადგენენ „ჯეჯილისა" და „ნაკადულის" გამოცემები. ამისთვის მივმართავ თხოვნით მათ გამომცემლებს, ღაგვითმონ თავიანთი გამოცემა, თუ არა, გასულ წლების ნომრები მაინც, რითაც დიდ დახმარებას გაუწევენ სამკითხველოს და სკოლას.

მეტეხის ციხის მღვდელი **მიხეილ დივიძე**


# განცხადებანი

**ექიმი** კბილისა **ალ. სოლოლაშვილი**
იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 საათ. გოლოვინის პროსპ. N 12, სახლი მდივანისა. (უ)

**ყველასათვის ხელმისაწვდენი**
**უტყუარი შემთხვევა,**
რომლის წყალობითაც ყველას შეძლება მიეცემა გამდიდრებისა, სულ მცირე რამ ფულის გაღებით, თუ ერთი წლის განმავლობაში წესიერად ყოველ თვეში გადაიხდის 2 მან. 50 კ. დაწყებული 5 მან. დის.
**საჭ როა ორივე სქესის მუშა-აგენტები.**
რომელნიც თვალ-საჩინო სარგებელს მიიღებენ თავიანთ გასამრჯელოში, მეტადრე უმუშევარ-ინტელიგენტები
ინტერნაციონალურ საერთა-შორისო ბანკის წარმომადგენელი **ესტატე ლომიძე.**
ადრესი: ნაძალადევი, მაგისტრალის ქუჩა, N 3, კონტორა და გრიგოლ ვ. ჩარკვიანისა. (1—3000—1)

**სორაპნის ამხ. გამოცემა.**
**ქართველი და უცხოელი მწერლები**
მიიღება ხელის მოწერა
**მეოთხე წიგნზე**
# ● განდეგილი ●
**ლექსები და მოთხრობები**
წიგნი ჩვეულებრივ ფორმატისა იქნება, 225 გვერ. და ხელის მომწერლებ სათვის **ეღირება 25 კაპეიკი კუპონიანად.**
ავტორის სურათითა და მოკლე ბიოგრაფიით. ეს გამოცემა გაცილებით
**გაუმჯობესებული იქნება**
ყოველის მხრით წინანდელ ჩვენ გამოცემებზე. ხელის მოწერა მიიღება ყველა ჩვენ აგენტთან პროვინციაში. ხელის მოწერა დაიწყება 15 დეკემბერს და გათავდება 25 იანვარს. წიგნი ცალკე გასასყიდად არ გამოვა. ვისაც სურს პირდაპირ დაბარება, მან უნდა გამოგზავნოს ფოსტის მარკები —40 კაპ. წიგნი გამოვა თებერვლის 25 რიცხვში.
ადრესი: Тиф., Т-ва «Сорапань». (10—3)

**გამოვიდა გასასყიდად**
**გ. ჩარკვიანის** მიერ შედგენილი და „სორაპნის" ამხ. გამოცემული



ქართველთათვის, სომეხთათვის, კათოლიკეთათვის, მაჰმადიანთათვის და ებრაელთათვის.
კალენდარში მოთავსებულია მრავალი სურათი და კარიკატურა. ფასი 40 კაპ.

# სახალხო კალენდარი
**1910 წ.**
შედგენილი მ. გაჩეჩილაძის მიერ,
**ფასი 20 კაპ.**
ვინც ერთად ბევრს იყიდის, მას პროცენტები დაეთმობა.
ადრესი: Типографія „Сорапань". Гачечиладзе. (15—13)

**Открыта подписка на 19^09^|10 годъ**
НА ИЛЛЮСТРИРОВАННЫЙ ЖУРНАЛЪ
# НА КАВКАЗѢ

Ежемѣсячный журналъ исторіи, этнографіи и общественно-экономической жизни Кавказскаго края; литературы, публицистики, науки и искусства.

**ПОДПИСНАЯ ЦѢНА за 12 кн.** от 6 до 10 лист. каждая **5 РУБЛ** за 6 книгъ—3 руб. за 3 книги—1 р. 50 к.

ВЪ ЖУРНАЛѢ ПРИНИМАЮТЪ ФАКТИЧЕСКОЕ УЧАСТІЕ:
Петръ Авдѣенко, д-ръ полит. наукъ Вл. Ахметеловъ, С. И. Борчевскій проф. С. А. Венгеровъ, Д. Ведребисели, Б. М. Городецкій, М. Джанашвили, П. А. Зажаевъ, Е. С. Канчеръ М. П. Кожушко, Петръ Кузько, А. И. Литовкинъ, Г. М. Малышенко, Лук. Мельниковъ, проф. Всев. Ѳ. Миллеръ, П. В. Мироновъ, Нусэ, И. Ѳ. Пальмовъ, А. С. Пираловъ, Ник. Попрковъ, Н. А. Преображенскій, Г. А. Робинсонъ, А. Родной (Коростылевъ), А. М. Розовъ, Н. М. Рындинъ, П. А. Скачковъ. В В Скиданъ, А. Т. Снарскій, Султанъ-Довлетъ-Гирей, Е. М. Тумановъ, С. Тимофеевъ. проф. М. И. Туганъ-Барановскій, проф. А. С Хахановъ, Г. М Цаголовъ, Ф. А. Щербина, С. П. Эйрановъ и др.

Вышли 5 №№ журнала и продаются во всѣхъ книжныхъ магазинахъ Тифлиса, Баку, Елисаветополя, Кутаиса, Эривани и др
ПОДПИСКА ПРИНИМАЕТСЯ въ г. Екатеринодарѣ: въ конторѣ редакціи —Соборная, 50, и во всѣхъ книжныхъ магазинахъ; въ Тифлисѣ—въ книжномъ магазинѣ Хидекель, Центр. Книж торговлѣ и др ; во Владикавказѣ, Баку, Кутаисѣ и Ставрополѣ во всѣхъ книжныхъ магазинахъ; въ Петербургѣ въ книжномъ магазинѣ т-ва М. О. Вольфъ; въ Москвѣ въ книжномъ магазинѣ т-ва М О. Вольфъ (6—2)

Съ января 1910 г. въ С.-Петербургѣ начнетъ выходить еженедѣльн. журналъ
# „ЖИЗНЬ КАВКАЗА",
органъ печати научный, внѣпартійный прогрессивный, свободный отъ всякихъ національныхъ симпатій и антипатій
Газета ставитъ себѣ цѣлью всестороннюю освѣдомленнось по всѣмъ вопросамъ Кавказа.

Годовая цѣна «Жизни Кавказа»: 7 р., полуг. 4 руб Цѣна объявленій впереди текста: стран. большого формата 100 р., ½ стран.—60 р., ¼ стр.—35 р., и позади текста: стран. 60 р., полстран.—35 р. и ¼ стран.—20 р. Подписка на журналъ и объявленія принимаются или адресуются С.-Петербургъ, Главная Контора журнала „Жизнь Кавказа"—книжный магазинъ „Наша Жизнь" Литейный пр., 32.
(5—3) Редакторъ-издатель **А. Котельниковъ.**

**მ თ ა ვ ა რ ი მ ო გ ე ბ ა:**
**◀ 75,000, 40,000, 20,000, 15,000, 10,000 და სხვა. ▶**
მთავრობის ფულის ლატარია, რომელიც ხუთ-კლასად არის გაყოფილი და მოხდება ვარშავის ს. ხელმწიფო ბანკში.

**ლატარიის გამგეობა** პირდაპირ კერძო პირებზე ბილეთებს არა ჰყიდის. ბილეთებს ჰყიდიან რწმუნებული კოლექტორები.
ფოსტის ხარჯი და სატირაჟო ცხრილების დაგზავნა საბანკირო სახლის ხარჯით.
მოგება მიეცემა დაუყოვნებლივ ბილეთის წარდგენისათანავე.
ახალ დამკვეთავთ მეუძლიანთ ფულის ნაცვლად გაგზავნოს ბილეთები, რომლითაც წარსულ ნახევარ წელს მოგება ხვდათ.

**ერთ-ერთ ოთხ პირველ კლასში მონაწილეობის მისაღები ფასები:**
(შემდეგ კლასის მოგებაში მონაწილეობის მიუღებლად)
ა) მოგების დროს ბილეთის ფასის გამოკლებით, მთელი ბილეთი 8 მ., ნახ. ბილ. 4 მ., მეოთხედი ბილეთისა 2 მ.
ბ) მოგების დროს ბილეთის ფასის გამოუკლებლივ 1 ან 2 კლასისა (26 და 27 იანვარს ან 24 და 25 თებ. 1910 წ. მთელიან ¼ ბილ. 10 მ., ნახ. ბილ. 5 მ. ¼ ბილ. 2 მ. 50 კ. 1/10 ათ მთელ ბილეთისა 10 მ., 1/20 ათ მთელ ბილ. 5 მ. ყველა ხუთ კლასის პაი: 1/5 ნაწ, ბილ. 19 მ, 60 კ. 1/12 ნაწ. ბილ. 10 მ., 1/2 ნაწ. ბილ. 5 მ.

შეიძლება ფულის ნაწილ-ნაწილად გაგზავნა: ნახევარი შეკვეთის დროს, ნახევარიც აპრილში.
საბანკირო სახლი Варшава, Братская 18. **ლ. ვ. ლანდაუ** და კ-ო, ადრესი დეპეშებისთვის «Варшав, Ландаубанкъ».
Д. и Э. Метцль и К-о. Варшава № 80.082. (2—1)

# დ ე პ ო
# ლამპებისა და ჭურჭლეულობისა
(ნერსესოვისა და ბარონის ქუჩების კუთხე)
# დარჩო იაგორის ძის ეგანოვისა.
ვაჭრობა ბროლისა, ფაიფურისა, ფაიფურისა, მელხიორის ნივთებით, აგრეთვე ემალ გადაკრული სპილენძის ნაწარმოები და სამზარეულოს ლითონის ნივთებით.
სამოვრები ყოველ-გვარ ფასონისა.
# ფასები ხელმისაწვდენია.
**აუარებელი საჩუქარი დღესასწაულებისათვის.** (2—ხალ.—2)

—◀ **გაზეთ „დროების" რედაქციის კანტორაში** ▶—
**მიიღება ხელის მოწერა**
Bâton-ის წიგნზე:
# „ერი და კაცობრიობა, განხილულნი სოციოლოგიურის მხრით"
**დაახლოვებით 250—300 გვ.** ✦ ეხლავე ხელის მომწერთათვის ფასი **60 კ.** დაბეჭდვისა და გამოსვლის შემდეგ ფასი მომატებული იქნება, ხელის მოწერა მიიღება აგრეთვე წ. კ. ს. წიგნის მაღაზიაში და **ქუთაისში** ისიდ. კვიცარიძის წიგნის მაღაზიაში, **თელავში**—ივ. პაატაშვილთან, **ხონში**—გიგლა მებუკეთან. გამომცემელი მ. ხუც.....

# ✤ ზ ღ ა პ რ ე ბ ი ✤
# ქართლში, კახეთში და ფშავში
**შეკრებილი თედო რაზიკაშვილის მიერ**
დაიბეჭდა და იყიდება წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში. ფასი 2 წიგნისა 1 მან. 50 კ. საწყობი იქვეა. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Дворцовая, Обществу грамотности. (15—13)

# 1 მანეთიდან ფულის გადახდა ნაწილ ნაწილათ 1 მანეთიდან
# ● ხელის მაშინები 25 მანეთიდან ●
**იყიდება იმპერიის ყველა ქალაქში, განსაკუთრებით საკუთარ მაღაზიებში.**
ტფილისში სამი განყოფილებაა: 1. გოლოვინის პროსპექტზე სასახლის პირდაპირ; 2 ვოგზლის ქუჩაზე, სახლი ენფიანჯიანცისა; 3. ავლაბარში, კახეთის ქუჩაზე, სახლი ჯალალოვისა. (20—გაკ.—15)



1897 წ.

# ✤ პროვოდნიკის ✤



1908 წ.

1888

# ამხანაგობა
# რ ი გ ა შ ი
საფაბრიკო საწყობი ამიერ-კავკასიისთვის ტფილისში
სოლოლაკის ქუჩა, № 4.
# ● მომავალ დღესასწაულებისთვის ●
**მიღებულ იქმნა შემდეგი ნივთები:**
შობის ხეებისთვის ასბესტის თოვლი, რომელიც არ იწვის.
# რეზინის სათამაშოები.
# მხეცები, ტიკინები და ბურთები
დიდ-მალი უჯრებიანი სუფრები
# იყიდება ცალობით და არშინობით.

**იუველი პალტუჩევი**
2 მ. 85 კ.
ბუხარული ბლე ქალის მუქინარი ნახევრად ზედა იუბკა რბილ ტრიკოსი, ლამაზი, მკვიდრი, მეკერილი პარიზის უკანასკნელ მოდაზე. იგზავნება ფოსტით ფასდადებით, უბეოდ, გასაგზავნი ფასი 55 კ. ვინც ერთად სამ იუბკას დაიბარებს, გაგზავნის ფასი ჩვენია. **საშიში არაფერია:** ვისაც არ მოეწონება, ფულს დაუბრუნებთ. ახეთივე იუბკა უკეთეს მატერიისა და უფრო ლამაზად დამზადებული 3 მან. 50 კ. ვთხოვთ მსურველთ, მოგვწერონ, რა სიგრძისა იყოს და აგრეთვე წელის რაოდენობა სანტიმეტრით ან წერილთან ერთად გამოგზავნონ ზომა. ციმბირში მეტი 80 კაპ.
ადრესი: Фабрика А. Клвмана, Лодзь, N 18. (4—ფ.—4)

**ექიმი** ე. ს. ხუნდაძე დაბრუნდა ქუთაისში
იღებს შინაგ., ქალ., ბავ. და სიფილ. ავადმყოფებს. დილით 9—11 ს., საღამოთი 6—7 საათ. ოთხშაბათობით ღარიბებს უფასოდ იღებს. (ნ.—29)

**კიროვლი კერძო სამკურნალო**
# დოქტ. ნავასარდიანისა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)
ყოველ დღე, კვირების გარდა
**დ ი ლ ი თ:**
**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.
**უ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.
**ზ. ი. ბაბანახოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა,
**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურის ცხვირისა და ყელისა.
**მ. გ. ბვეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა. სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.
**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
**ა. ი. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგან და საბავშვო.
**ნ. ვ. ალბრეხტი:** 12—1¼ ს. შინ. და ბავშვ.
**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 12—1 ს. საშ., ქალ. და ბავშვ.
**ს ა ღ ა მ ო თ:**
**ო. ვ. გეევსკაია-ენგელი:** 6—6½ ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.
**ი. ფ. მარცინშევსკი:** 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.
რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.** (წ.—1—242)